გაზეთი ზევრიას, „ვერსიას" ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№126 (882) 29 ნოემბერი – 1 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## SOS საფრთხე!

**კანონპროექტს „გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ“ მთავრობის უახლოეს სხდომაზე განიხილავენ!** გვ.9

რა მიზეზით გაჭიანურდა კანონის მიღება



## „ამ ყველაფრის უკან დგას საპატრიარქო და პატრიარქი, რომლის ერთ სიტყვაზედაც ხალხს შეუძლია, ბიძინა ივანიშვილის მთავრობაც ხვალვე გადმოაყირაოს“

სკანდალური ინტერვიუ თეა თუთბერიძესთან

გვ.3

## „ასკანელი ძმების“ კონიაკები რუსეთის ბაზარზე გავა

ASKANELI BROTHERS

გვ.3

## სამართალი

**დაკიხვა დისტანციურად** გვ.7

## რა სკანდალურ ჩვენებას მისცემს სასამართლოს დიმიტრი შაშკინი 26 მაისის საქმეზე



„ვანო მერაბიშვილისა და გენერალ ლორთქიფანიძის საუბარს მაშინ ვესწრებოდი, როცა მათ აქციის დაშლასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღეს...“

გვ.2

## პოეტ ნანა დავარის ბენეფისი თბილისში



გვ.8

## „რადარები მალე მთელი ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟდება“

შსს-ს ცნაცისცივა — სადაც რადარები დამონტაჟდა, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობამ 80%-ით იკლო, დაღუპულთა რაოდენობა კი 85%-ით შემცირდა

გვ.5

## ევროკავშირში ასოცირების დოკუმენტი პარაფირებულია

რატომ იქნება რთული საქართველოსთვის მომდევნო ერთი წელი და რას უნდა ველოდეთ რუსეთისგან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე

**ვალერი ხაბურძანია:** „ევროპა გვამასხარავებს... ეს დაცინვაა და ვარჯიში ხელისმოწერაში. თუ უნდათ ჩვენი ინტეგრირება, პარაფირება არაა საჭირო“

**ირაკლი ცქიტიშვილი:** „ეს ხელშეკრულება ევროკავშირთან დაახლოების ერთ-ერთი ეტაპია. უსაფრთხოების თვალსაზრისით აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა“

## სოსო ცისკარიშვილი: „იანუკოვიჩმა უკრაინელი ბიზნესმენების ზეწოლას ვერ გაუძლო“



# რა სკანდალურ ჩვენებას მისცემს სასამართლოს დიმიტრი შაშკინი 26 მაისის საქმეზე

## როდის ნახა უკანასკნელად, რატომ გაუშვა სამინისტროდან და რა კითხვები გაუჩნდა მეგის ქარდავას მიმართ თავდაცვის ყოფილ მინისტრს

რუსუდან შელია
557-100-768

**ევროკავშირის ასოცირების დოკუმენტის პარაფირებას მიხეილ სააკაშვილის გუნდის მრავალწლიანი მუშაობის შედეგად მიიჩნევს, მომავალი ერთი წლის განმავლობაში კი რუსეთისგან ე.წ. საზღვართან პროცოკაციების გაძლიერებას ელის. არის თუ არა მზად ქართული მხარე რუსეთის ზეწოლისთვის, რატომ გაათავისუფლა მეგის ქარდავა სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელის თანამდებობიდან და რის თქმას აპირებს ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესზე 26 მაისის დარბევასთან დაკავშირებით? „ვერსიას" საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი ესაუბრება.**

— სააკაშვილის გუნდს წლების განმავლობაში დაუღალავად რომ არ ემუშავა, ევროკავშირის ასოცირებაზე პარაფირება ვერ მოხერხდებოდა. ისტორია ყველა კითხვას უპასუხებს — საზოგადოებამ იცის, რომ რუსეთთან მიმართებაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯებს ვდგამდით. უკრაინის მაგალითზე გამოჩნდა, რისი გაკეთება შეუძლია რუსეთის იმპერიას იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებსაც დამოუკიდებლობის ღირსად არ მიიჩნევს. მისთვის დამოუკიდებელი საქართველო მიუღებელია — არ სურს, საქართველომ რუსეთის გავლენის გარეშე იარსებოს.

**— ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზარი გაიხსნა და რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივა არ არსებობს?**

— რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის გაგზავნა გარდაუვალი იყო, რადგან დაახლოებით ორი წლის წინ, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო პალატაში შევუშვით. მაშინ მსოფლიომ მოითხოვა, რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქცია დაბრუნებულიყო და რუსეთმა ეს ვალდებულება აიღო. დღეს ნათელია — რუსეთის მთავრობას ძველ ხელისუფლებასთან კი არ ჰქონდა პრობლემა, საქართველოზე თავდასხმა მისი პოლიტიკის ნაწილია, რასაც „ქართული ოცნების" მმართველობის პირობებშიც აგრძელებს.

**— ვილნიუსის სამიტის შემდეგ რუსეთი საქართველოზე ზეწოლას გააძლიერებს?**

— საბედნიეროდ, რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური ბერკეტები არ აქვს. აგვისტოს ომის შემდეგ ბაზრის დივერსიფიცირება რომ არ მოგვეხდინა, უკრაინის მსგავს მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით, მაგრამ რუსეთს აქვს საქართველოს წინააღმდეგ ერთადერთი ძლიერი იარაღი, რაც ე.წ. საზღვარზე პროვოკაციების გაძლიერებას გულისხმობს.

**— როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში ქართული მხარე და თუ არსებობს ალბათობა, პროვოკაციები ომით დასრულდეს?**

— მნიშვნელოვანია, ჩვენს გვერდით უკრაინა, როგორც პარტნიორი ქვეყანა იდგეს. თუ რუსეთმა უკრაინის დაჩოქება მოახერხა, საქართველოს წინააღმდეგ ზეწოლაც ბევრად მასშტაბურ ხასიათს მიიღებს. კერძოდ, ე.წ. საზღვართან ვითარება უკიდურესად დაიძაბება, დაიწყება ადამიანების გატაცება და არც ბანდფორმირებების ჩამოყალიბებას არ გამოვრიცხავ, რომლებსაც რუსეთი მაქსიმალურად წაახალისებს. რუსული პროვოკაციების წინააღმდეგ ერთადერთი ძლიერი იარაღი კი საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მობილიზებაა. თუ პროვოკაციებზე ხმას არ ამოვიღებთ, რუსეთი არ გაჩერდება სანამ საქართველოს ბოლომდე არ გაანადგურებს.

**— ევროკავშირის ასოცირებაზე პარაფირება დასავლეთის მხრიდან მყარ მხარდაჭერას არ გულისხმობს?**

— სამწუხაროდ, საერთაშორისო რადარიდან თანდათანობით ვქრებით. დასავლეთი საქართველოს მხარს ყოველთვის დაუჭერს, მაგრამ თანადგომის ხარისხსაც გააჩნია. მსოფლიო საზოგადოებას ისედაც ბევრი თავისტკივილი აქვს — ირანი, სირია, ლიბია... თუ ევროკავშირსა და ნატო-ს მუდმივად არ შევაწუხებთ, ყურადღებას არავინ მოგვაქცევს და რუსეთიც ჩვენს წინააღმდეგ გაძლიერდება.

**— ამასობაში, ვრცელდება ინფორმაცია, რომ სამხედრო პოლიციის ყოფილმა უფროსმა მეგის ქარდავამ საიდუმლო არქივი, მათ შორის, აგენტურული სია და ფარული ვიდეოჩანაწერები რუსეთის ფედერალურ სამსახურებს გადასცა. თუ ჰქონდა წვდომა საიდუმლო ინფორმაციაზე?**

— მეგის ქარდავა სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელი იყო და საიდუმლო დოკუმენტებთან წვდომა ექნებოდა, თუმცა ბოლოს, ლაფანყურის ოპერაციის დროს, 2012 წლის აგვისტოში ვნახე და მას შემდეგ არაფერი მსმენია — ტელეფონითაც არ მისაუბრია. 2012 წლის სექტემბერში კი, ჩემი მოთხოვნით, მეგის ქარდავა თავდაცვის სამინისტროდან სხვა უწყებაში გადავიდა, რადგან კონკრეტულ კითხვებზე ვერ მიპასუხა.

**— რა კითხვები გქონდათ მეგის ქარდავასთან და იგივე კითხვები ბაჩო ახალაიას მიმართაც ხომ არ გაგჩენიათ, რომელიც თქვენამდე თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობდა?**

— კითხვები სახელმწიფო საიდუმლოს შეეხებოდა და ამიტომ ვერ ვისაუბრებ, ბაჩო ახალაია კი ჩემი კოლეგა იყო — მასთან კითხვები ვერ მექნებოდა.

**— ითქვა, რომ მეგის ქარდავა რუსულ სპეცსამსახურებთან საპარლამენტო არჩევნებამდეც თანამშრომლობდა...**

— არა მგონია, მეგის ქარდავას რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირი ჰქონოდა და ვერც იმას ვიტყვი, ახლა რას აკეთებს. პირადად მასთან რუსეთის მიმართულებით კითხვები არ მქონია.

**— საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველო მალევე დატოვეთ. პარალელურად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზურაბ ადეიშვილის თხოვნით, ამერიკაში საიდუმლო მასალები გაიტანეთ. იქნებ გაამხილოთ — არქივი საქართველოში დარჩა თუ დიდი ხანია ქვეყნიდან გატანილია?**

— 2012 წლის 5 ოქტომბერს აშშ-ში წინასწარ დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში წავედი, თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება კი დაგეგმილ ვადაზე ათი დღით ადრე, 15 ოქტომბერს გავაკეთე. რაც შეეხება არქივის გატანის საკითხს, ეს პოლიტიკური ინსინუაციების ნაწილია, რაზეც კომენტარს არ გავაკეთებ. საიდუმლო არქივი საქართველოში დარჩა და ახალ ხელმძღვანელობას გადაეცა.

**— იმ ფონზე, როცა საზოგადოების ნაწილი კოჰაბიტაციის დასრულებას პროგნოზირებს, ამ მასალებს თქვენი გუნდის წინააღმდეგ ხომ არ გამოიყენებენ?** — ეს პროცესები მოსალოდნელი იყო... საქართველოში ვიმყოფები და მზად ვარ, ჩემი მისამართით არსებულ ნებისმიერ კითხვას ვუპასუხო. ქვეყანაში უდანაშაულობის პრეზუმცია არსებობს. ყოფილი მაღალჩინოსნები, გარკვეული ინფორმაციების გავრცელებისთანავე არ ვართ ვალდებულები ვამტკიცოთ, რომ უდანაშაულოები ვართ. თუ პროკურატურა მიიჩნევს, რომ დანაშაული ჩავიდინეთ, სასამართლოზე ნებისმიერ კითხვას ვუპასუხებთ.

**— სამხედრო ბინების არასწორად გადანაწილებაში გედავებოდნენ.**

— სამხედრო ბინების მშენებლობა დავით კეზერაშვილმა დაიწყო. მაშინ 3000-მდე სერჟანტ-კაპრალს ბინები ესაჭიროებოდა, ამიტომ ჯამში, 12 კორპუსი უნდა აშენებულიყო. 2008 წლის ომის შემდეგ ერთი კორპუსი ექსპლუატაციაში სასწრაფოდ ჩაბარდა და ბინები ომში დაღუპულთა ოჯახებს გადავეცით, ოთხი კორპუსის მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა, შვიდ შენობას კი საფუძველი ჩაეყარა. 2012 წლის სექტემბერში 4 კორპუსის მშენებლობა დასრულდა, სამის ფუნდამენტი ჩასხმული იყო და 7 კორპუსის დამთავრებას ველოდებოდით; 2012 წლის ოქტომბრის ბოლოს კი, როცა მინისტრის თანამდებობაზე აღარ ვიყავი, თავდაცვის სამინისტროს პიარსამსახურმა საკმაოდ ხმაურიანი განცხადება გაავრცელა — თითქოს საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ ბინები არასწორად გადავანაწილე. მაშინვე ვუპასუხე, რომ მინისტრი ბინების გადანაწილების პროცესში არ ერეოდა და ამ საქმეს გაერთიანებულ შტაბში არსებული კომისია ხელმძღვანელობდა.

**— თავდაცვის მინისტრმა, პრემიერთან ერთად, ბინები სამხედრო პირებს გადასცა. თქვენს წინააღმდეგ კითხვები ამოწურულია თუ საქმის გამოძიება მიმდინარეობს?**

— ამ განცხადების შემდეგ, ჩემთვის კითხვები არავის დაუსვამს, რადგან ყველა ხვდებოდა, რომ ეს პოსტსაარჩევნო პიარი იყო. ჩვენს მიერ აშენებული სამხედრო კორპუსები 14 თვის განმავლობაში არავის გახსენებია და თემის აქტუალიზება ისევ მიხეილ სააკაშვილმა 2013 წლის აგვისტოში მოახდინა, როცა განაცხადა, რომ ყველა მშენებლობა შეჩერებული იყო, უკვე დასრულებულ კორპუსებში კი არავინ ცხოვრობდა. ფაქტია, თავდაცვის სამინისტრომ ჩვენს მიერ განაწილებული ბინები თავიდან გადასცა სამხედროების ოჯახებს, რამდენიმე ოფიცერმა კი მომწერა, რომ ისინი ახალ სიაში გაუგებარი მიზეზების გამო ვერ აღმოჩნდნენ. ასე რომ, თავდაცვის მინისტრმა პრემიერი მოატყუა.

**— ცნობილია, რომ ვანო მერაბიშვილის საქმეზე მოწმის სახით ხართ დაბარებული და 26 მაისთან დაკავშირებით, მის სასარგებლოდ ჩვენების მიცემას გეგმავთ.**

— დიახ, ვანო მერაბიშვილისა და გენერალ ლორთქიფანიძის საუბარს მაშინ ვესწრებოდი, როცა მათ აქციის დაშლასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღეს.

**— მაშინ განათლების მინისტრი იყავით, ამ შეხვედრას რა სტატუსით ესწრებოდით ან ვისგან შემოვიდა ბრძანება აქციის დარბევის შესახებ?**

— კაბინეტში მხოლოდ ვანო მერაბიშვილთან ერთად ვიყავი, იქ სხვა მინისტრები არ ყოფილან. სასამართლოზე მოწმის სტატუსით წარვდგები, სადაც ვანო მერაბიშვილის უდანაშაულობის დამტკიცებას შევეცდები. მაშინდელი საუბრის დეტალებს მხოლოდ სასამართლოზე გავამხელ და იმასაც გავაჟღერებ, რატომ ვესწრებოდი ამ შეხვედრას.

## ვერსიანიუსი



### შსს-მ ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის მოქალაქე დააკავა

სამართალდამცველებმა სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში საზღვრის საქართველოს მიმართულებით კვეთისას ვისბადენის ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის მოქალაქე, 1983 წელს დაბადებული აიჰან სატილოღლუ დააკავეს. ის გერმანიის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინტერპოლის არხებით საერთაშორისო ძებნაში 2008 წლის 12 ივნისიდან იმყოფება. მას ბრალად ედება გერმანიის სს კოდექსის 212-ე, 223-ე, 224-ე, 22-ე, 23-ე, 49-ე და 52-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა — მკვლელობის მცდელობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. 2006 წლის 2 აპრილს გერმანიაში, ბრემერჰავენში, სატილოღლუმ მსხვერპლს თავის არეში ცივი იარაღით სიცოცხლისთვის სახიფათო 19 ჭრილობა მიაყენა. გერმანიის სამართალდამცავებმა ის დააკავეს, თუმცა სატილოღლუმ წინასწარი პატიმრობიდან გაქცევა მოახერხა. სატილოღლუს მიმართ წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

*„ვერსიანიუსი"*

### მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა შეჩერდა



იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია ამ ეტაპზე აღარ შეიქმნება მიუხედავად იმისა, რომ კომისიის შექმნის იდეას არავინ ეწინააღმდეგება: **„მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შესახებ კანონპროექტი უკვე რამდენიმე თვეა მზადაა. მას რეალურად არაფერი სჭირდება გარდა იმისა, რომ გაეგზავნოს პარლამენტს. კანონპროექტი მთავრობის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე გავიტანეთ. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის შექმნას არავინ ეწინააღმდეგება, მთავრობამ მიიჩნია, რომ ძალიან ფრთხილადაა გასათვლელი ის შედეგები, რაც შესაძლოა ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით მივიღოთ. თუკი ადამიანს გაამართლებენ და მას უკვე გაუჩნდება მატერიალური მოთხოვნის დაყენების უფლება, ამისთვის დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, ფინანსური მდგომარეობა მზად არ არის. ამ ერთადერთი მიზეზის გამო ჩაითვალა, რომ ეს ამ ეტაპზე ნაადრევია, თუმცა თავისთავად იდეა უარყოფილი არ ყოფილა".**

მისივე თქმით, როგორც კი ჩაითვლება, რომ ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა დაზარალებულთა მატერიალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მზადაა, აღნიშნული კომისიის შექმნის საკითხი დაიძვრება იმ წერტილიდან, სადაც გაჩერდა.

*„პირველი"*



# „ამ ყველაფრის უკან დგას საპატრიარქო და პატრიარქი, რომლის ერთ სიტყვაზედაც ხალხს შეუძლია, ბიძინა ივანიშვილის მთავრობაც ხვალვე გადმოაყიროს“

## სკანდალური ინტერვიუ თეა თუთბერიძესთან

რეზო შატაკიშვილი

**ცოტაც და, შემდეგი გაჩერება თეოკრატია იქნება. 90-იან წლებში, უნივერსიტეტში, სამართლის ისტორიას ერთი ღირსეული პროფესორი გვასწავლიდა. ერთ-ერთ ლექციაზე ვრცლად გვესაუბრებოდა, თუ როგორ და რა ფორმებით ცდილობდა ქრისტიანული ეკლესია კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ხალხზე, სახელმწიფოზე გავლენის მოხდენას, იდეოლოგიის თავს მოხვევას, გვიყვებოდა ინკვიზიციაზე და ა.შ. პროფესორი საუბრობდა ზოგადად ქრისტიანულ ეკლესიაზე, ვთხოვე დაეკონკრეტებინა, რომ კათოლიკური ეკლესია იყენებდა ამ მეთოდებს და არ იყენებდა მართლმადიდებელი ეკლესია. მახსოვს, მომიახლოვდა და აუღელვებლად მითხრა – მართლმადიდებელ ეკლესიას არ ჰქონდა ის ძალა, რაც ჰქონდა კათოლიკურს, თორემ მერწმუნე, იგივეს განახორციელებდა”. მაშინ არ დავუჯერე, მხოლოდ ზრდილობიანად გავჩუმდი. დღეს უკვე მჯერა – ვნახე რა „ტაბურეტკებით“ ამხედრებული მამაოები, მხოლოდ საკუთარ მრევლს კი არა, ყველას რომ უდგენენ ცხოვრების წესს, მონოპოლიას აცხადებენ სიკეთეზე, ქველმოქმედებაზე და ხელისუფლებაც მორჩილად უქნევს თავს. ამ დღეებში კიევის პატრიარქმა ფილარეტიმ გაავრცელა უკრაინის ევროინტეგრაციის მხარდამჭერი მიმართვა. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ღიად აფიქსირებს თავის პოზიციას – მხარს უჭერს ევროინტეგრაციას. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხებზე საუბარი, თეა თუთბერიძესთან სწორედ ამ მიმართვაზე საუბრით დავიწყეთ, რადგან პოზიციის პროგრესულობის მიუხედავად, იგი მაინც წარმოადგენს ეკლესიის ჩარევას სახელმწიფოს საქმეებში.**

— ყველა, ვინც ადეკვატურად აღიქვამს რეალობას, ხედავს, რომ აბსოლუტურად განსხვავებულია კიევის პატრიარქისა და ჩვენი პატრიარქის მიდგომები. სამწუხაროდ, განსხვავებით უკრაინისგან, ჩვენს ქვეყანაში ეკლესია ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო განცხადებების კეთებით არის დაკავებული. გავიხსენოთ საქართველოს პატრიარქის ბოლოდროინდელი განცხადებები — ომიდან ერთი წლის თავზე ხომ სწორედ მან განაცხადა, რომ თურმე საქართველოს ბრალი ყოფილა ომის დაწყება, რომ როდესაც გემის კაპიტანი ხედავს კლდეს, არ უნდა შეეჯახოს, გვერდი უნდა აუაროს, გასასვლელი იპოვოს და ა.შ. ძალიან კარგად ვიცი, რომ სანამ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი გადაწყვეტილებას მიიღებდა, ჩვენი ქვეყნის ჯარის ნაწილების ჩვენივე ქვეყნის ტერიტორიაზე, ჩვენივე ქვეყნის მოქალაქეების დასაცავად შეყვანის შესახებ, იგი კონსულტაციებს გადიოდა ოპოზიციის წარმომადგენლებთან. როგორც ვიცი, ილია მეორესთანაც იმყოფებოდნენ დეპუტატები ამ თემებზე სასაუბროდ, რჩევაც ჰკითხეს, თუმცა მას არ მიუთითებია, სად იყო კლდე და სად — გასასვლელი. ამ გამოსავალში თუ ილია მეორე თბილისის თავზე რუსული დროშის აფრიალებას გულისხმობდა, არ ვიცი, თორემ გამოსავალი, სამწუხაროდ, არ იყო. თუ იყო და მან ეს იცოდა, მაშინვე შეეთავაზებინა. საზოგადოების ნაწილი ფანატიზმშია გადავარდნილი და პატრიარქის ნებისმიერი განცხადება, როგორი ანტისახელმწიფოებრივიც უნდა იყოს, სათანადოდ არ არის აღქმული, რაც კიდევ უფრო დიდი პრობლემაა ჩვენი ქვეყნისთვის.

**— კიევის პატრიარქის პოზიცია უდავოდ პროგრესულია, თუმცა ესეც ხომ პოლიტიკურ პროცესებში ჩარევაა, უნდა ჩაერიოს ეკლესია პოლიტიკურ პროცესებში?**

— არ ვარ მომხრე, ეკლესია ერეოდეს სახელმწიფოს საქმეებში ისევე, როგორც სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკლესიის შიდა საქმეებში. ჩარევა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყნის ბედი წყდება და ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას.

**— ნებისმიერი ჩარევის დროს საეკლესიო პირებიც სწორედ მაგ არგუმენტს იშველიებენ, იგივე თქვეს 17 მაისსაც — აცხადებდნენ, რომ ახალგაზრდობა ირყვნება და არ დაუშვებდნენ და ა.შ.**

— მათ ძალიან კარგად ესმით, რასაც აკეთებენ. აქცია, რომელიც საზოგადოებას მიაწოდეს სხვა კუთხით, ჰომოფობიის წინააღმდეგ იყო მიმართული, მათ კი მრევლს აუხსნეს, რომ ეს იყო „გეიპარადი“. ეს იყო არა რამდენიმე ათეული ახალგაზრდის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ კუნთების ჩვენება სახელმწიფოსთვის — ვინ უფრო ძლიერია და რეალურად ვის უფრო მეტი გავლენა აქვს ქვეყანაში ეკლესიას თუ ხელისუფლებას. ანალოგიური მცდელობები წინა ხელისუფლების დროსაც იყო და, სამწუხაროდ, ვერც მან მიუჩინა თავისი ადგილი ეკლესიას. 2009 წლის აქციებზე, ტელევიზიასთან, რამდენიმე ხულიგანმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ჟურნალისტსა და ოპერატორს. მაშინ მთელი საპატრიარქო ფეხზე დადგა, რათა დამნაშავეები გამოეშვათ. ცხადია, პრობლემაა, როდესაც მსგავსი განცხადებები კეთდება ეკლესიის მიერ, მაგრამ უფრო დიდი პრობლემაა, როდესაც სახელმწიფო ამ ულტიმატუმებს ემორჩილება და დგამს იმ ნაბიჯებს, რაც საბოლოოდ ამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას უთხრის ძირს. მთელი ის ხუხულა, რაც აგებულია ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში, მთელი ეს შუშის კოშკი დამყარებულია ფანატიზმზე და არა რწმენაზე. ესაა რაღაც ერთობა, რომელიც დგას შუშის ფეხებზე და ერთ პატარა კენჭს შეუძლია მარტივად დაფშვნას. მართლმადიდებლობასა და ეკლესიას ებრძვის არა თეა თუთბერიძე და რამდენიმე ათეული ადამიანი, რომელიც ხედავს პრობლემებს ეკლესიის შიგნით, არამედ ის სიბნელე, რომელიც გამეფებულია ეკლესიის შიგნით და რასაც თავად საპატრიარქო უწყობს ხელს, ნაცვლად იმისა, რომ ებრძოდეს.

**— ვინც დღეს ეკლესიას აკრიტიკებს, შეიძლება პირობითად ორი ნაწილად დავყოთ — ვინც გულშემატკივრის პოზიციიდან აკრიტიკებს და მეორე — საერთოდ შორს რომ დგას ყოველგვარი რწმენისგან, ათეისტია და აგდებულად მოიხსენიებს, ანეგდოტებს ჰყვება ღვთისმშობელზე, ქრისტეზე... ეს ადამიანები რეალურად არღვევენ სხვათა უფლებებს, სხვის რელიგიურ გრძნობებს აყენებენ შეურაცხყოფას.**

— მესმის, ეს შეიძლება ასედაც იყოს აღქმული, თუმცა ასევე არის იმ ადამიანის გამოხატვის თავისუფლება, ისინი ასე მიიჩნევენ საჭიროდ თავისი დამოკიდებულების გამოხატვას.

**— შენი უფლება მთავრდება იქ, სადაც სხვისი იწყება.**

— ადამიანის უფლებათა პირამიდაში, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება გაცილებით მაღლა დგას სხვა უფლებებზე. თუ გახსოვთ, ძალიან დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა მუჰამედის კარიკატურებს, მაგრამ ის ადამიანი არ დასჯილა და ვერც დაისჯებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს არის მისი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. ვიღაცამ თავისი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფად შეიძლება ისიც აღიქვას, ილია მეორეს რომ ვაკრიტიკებ, მაგრამ მაქვს კრიტიკის სრული უფლება. ეს ძალიან პირობითია, და თუ ჩვენ დავუშვებთ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას იმის გამო, რომ ვინმეს რელიგიური გრძნობები ილახება, ეს ძალიან ცუდ შედეგამდე მიგვიყვანს. დავანებოთ თავი იმას, ვინც აქილიკებს რწმენას — როგორ იღებს იმათ, ვინც გულშემატკივრის პოზიციიდან აკრიტიკებს ეკლესიას? პირველად ვინც ეკლესიის შიდაპრობლემებზე ალაპარაკდა, სწორედ მისი გულშემატკივარი იყო... 2009 წელს კითხვები გავუგზავნეთ ილია მეორეს, 30-მდე კაცი ვმუშაობდით ამ კითხვებზე მიუხედავად იმისა, რომ ხელთ კონკრეტული დოკუმენტები და მტკიცებულებები გვქონდა, საკითხები ჩამოვაყალიბეთ არა მტკიცებითი ფორმით, არამედ კითხვების ფორმით. მას ერთ დღეღამეში ხელი მოაწერა 235 ადამიანმა და გავაგზავნეთ საპატრიარქოში, რაზეც გვიპასუხეს, რომ ამ 235 ადამიანს არ თვლიდნენ საზოგადოების ნაწილად. რა უფლება აქვს საპატრიარქოს ან პატრიარქს ჩამოგვართვას საზოგადოების წევრის სტატუსი ან მე, ან იმ 234 ადამიანს? საერთოდ, რამდენად ემსახურებიან რეალურად მართლმადიდებლობასა და ეკლესიას ისინი, ვისაც ანაფორა აცვია? ხშირად ხომ ისინი არიან ანაფორაგადაცმული კრიმინალური აზროვნებისა და მენტალიტეტის პირები და საბოლოოდ, თუ ვინმე მართლაც ებრძვის ეკლესიას სწორედ ისინი და არა ათეისტები ან გულშემატკივრები, რომლებიც აკრიტიკებენ.

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# „ასკანელი ძმების“ კონიაკები რუსეთის ბაზარზე გავა

კომპანიამ „ასკანელი ძმები“ „როსპოტრებნადზორში“ წარდგენილ ყველა განაცხადზე დადებითი პასუხი მიიღო. როგორც კომპანიის მენეჯმენტში აცხადებენ, მათ ხელთ აქვთ ყველა ის ნებართვა და სერტიფიკატი, რომელიც პროდუქციის რუსეთში გადასატვირთადაა საჭირო, მათ შორის ახლად მინიჭებული სერტიფიკატები კომპანიის წარმოებულ კონიაკებზე „ასკანელი“ და „გიდელი“.

**„ასკანელი ძმების“ აღნიშნული სასმელის რუსეთის ბაზარზე გაგზავნა, გაუგებრობის გამო მიმდინარე წლის მაისში შეფერხდა, რის გამოც ჩვენმა კომპანიამ პროდუქციის ხელმეორედ შემოწმება მოითხოვა. კონიაკებმა „ასკანელი“ და „გიდელი“ ხელახალი შემოწმების პროცესი წარმატებით გაიარეს“,** — აცხადებს „ასკანელი ძმების“ დამფუძნებელი ჯიმი ჩხაიძე.

სერტიფიცირების პროცესი სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და ე.წ. „როსპოტრებნადზორის“ დასტური „ასკანელი ძმების“ მიერ წარმოდგენილმა ყველა კონიაკმა — „გიდელმა“ და „ასკანელმა“ 3, 5, 6 და 8-წლიანი დაძველებით მიიღო.

**„გვიხარია, რომ გაუგებრობა ამოიწურა. მართალია, დიდი ზიანი მიადგა ჩვენი კომპანიის საქმიან იმიჯს, მაგრამ ვფიქრობ, საბედნიეროდ ყველაფერი გაირკვა. „ასკანელი ძმების“ პროდუქციის კიდევ რამდენიმე სახეობაზე მიღებული დასტური ჩვენთვის ძალიან სასიხარულო ფაქტია. კონიაკები „ასკანელი“ და „გიდელი“ რუსეთში ექსპორტზე უახლოეს დღეებში გაიგზავნება“,** — აცხადებს ჯიმი ჩხაიძე.

„ასკანელი ძმების“ პროდუქცია რუსეთის ბაზარზე უკვე სამი თვეა წარმატებით და შეუფერხებლად იგზავნება. ივნისის შემდეგ კომპანიამ რუსეთის ფედერაციაში მილიონ ბოთლზე მეტი ღვინო გაიტანა.

**„უნდა აღინიშნოს, რომ „ასკანელი ძმები“ ერთადერთი ქართული კომპანიაა, რომელიც რუსეთის უმსხვილეს სარესტორნო ქსელს „გინზა გრუპ“-ს საკუთარ პროდუქციას აწვდის. ბრენდის ექსპორტირებულ მრავალფეროვან პროდუქციას ამჯერად კონიაკები „ასკანელი“ და „გიდელი“ შეემატება. სამომავლოდ კი, სერთიფიცირებისთვის კონიაკების — XO, VSOP, VS წარდგენას ვგეგმავთ“,** — განაცხადა ჯიმი ჩხაიძემ.

რუსეთის ბაზარზე ამ დროისთვის „ასკანელი ძმების“ ცხრა დასახელების ღვინო გადის. „ქინძმარაული“, „წინანდალი“, „ალაზნის ველი — წითელი“, „ალაზნის ველი-თეთრი“, „ხვანჭკარა“, „საფერავი“, „მუკუზანი“, „ახაშენი“ და „ოჯალეში“ — ეს იმ ღვინის სახეობებია, რომელის რეალიზებასაც რუსეთის უმსხვილესი სუპერმარკეტების ქსელი „მაგნიტი“ ფედერაციის მთელი მასშტაბით ახორციელებს. ასევე ასკანელი ძმების პროდუქციის დისტრიბუცია რუსეთში ისეთ დიდ ქსელებში და ჰიპერმარკეტებში ხორციელდება როგორებიცაა „X 5“, „კოპეიკა“, „პერეკრესტოკი“, „კარუსელი“ და სხვა.

რაც შეეხება „ასკანელი ძმების“ სხვა სიახლეებს, ჯიმი ჩხაიძის ინფორმაციით, კომპანია დინამიურად ვითარდება, შენდება ახალი საწარმო, რომელიც აღჭურვილი იქნება იტალიური ტექნიკა-დანადგარებით. გაორმაგებული სიმძლავრის მქონე ქარხნის მშენებლობა ISO სტანდარტების დაცვით მიმდინარეობს და 6 თვეში დასრულდება.

კომპანია „ასკანელი ძმები“ 15 წლის წინ დაარსდა და სადღეისოდ ერთ–ერთი წამყვანი კომპანიაა ქართულ ალკოჰოლის მწარმოებელ კომპანიებს შორის. კომპანია აწარმოებს 8 სახეობის კონიაკს, 32 დასახელების ღვინოს, 4 დასახელების ჭაჭას. „ასკანელი ძმების პროდუქცია“ აღიარებულია საუკეთესოდ და მინიჭებული აქვს 100–ზე მეტი ჯილდო, სხვადასხვა გამოფენებსა და დეგუსტაციებზე. „ასკანელი ძმების“ მიერ წარმოებული სასმელები გადის ექსპორტზე 19 ქვეყანაში, მათ შორის აშშ–ში, უკრაინაში, ჩინეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, ყაზახეთში, ფინეთში, აზერბაიჯანსა და ბელორუსში.

დავით დევიძე
593-219-042

# ევროკავშირში ასოცირების დოკუმენტი პარაფირებულია

ვილნიუსში საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირება დასრულდა. პროცესი ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროში დახურულ კარსმიღმა მიმდინარეობდა, 1000-გვერდიანი დოკუმენტის პარაფირება კი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანმა, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძესთან ერთად განახორციელა.

ვილნიუსში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირების საზეიმო ცერემონია 29 ნოემბერს გაიმართება, მისი ტექსტი კი მომავალ კვირას გასაჯაროვდება. რას მიიღებს ევროპასთან ასოცირებით საქართველო და არის თუ არა ევროპასთან მჭიდრო კავშირი ქვეყნის გადარჩენის საშუალება?

უშიშროების ყოფილი მინისტრი **ვალერი ხაბურძანია**: „პარტია „უდარის“ ლიდერმა კლიჩკომ განაცხადა, ყველას უნდა დავანახოთ, რომ უკრაინის ევროკავშირში შესვლა რუსეთის წინააღმდეგ არ მოქმედებს, ევროპასთანაც გვინდა ურთიერთობა და რუსეთთანაცო. ეს პოლიტიკოსის ემოციური გამოსვლა იყო. სინამდვილეში, რუსეთს უკრაინის სახით ერთმევა უზარმაზარი სივრცე და ბაზარი და ამის გამო გაღიზიანებულია. პირდაპირ რომ ვთქვათ, ევროკავშირი კარგს ვერაფერს მოუტანს უკრაინას და ამას უკრაინის მთავრობა ითვალისწინებს. მოსახლეობა — ვერა. სწორედ ამან გამოიწვია უკრაინის კრიზისი.

**— საქართველოში რა მოხდება ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ?**

— ევროპა გვამასხარავებს... ტყუილია, თითქოს საერთაშორისო ხელშეკრულებას პარაფირების ეტაპის გავლა სჭირდება. პარაფირება სჭირდება იმ ტიპის ხელშეკრულებებს, სადაც აუცილებელია რაღაც ეტაპების გავლა და პირობების შეთანხმება. რაღა ეტაპები უნდა გავიაროთ? მაინტერესებს: უკრაინა რატომ იყო ჩვენზე წინ ევროინტეგრაციის თვალსაზრისით? ჩვენზე მეტი დემოკრატია ჰქონდა? არა, უბრალოდ, უფრო მიმზიდველი იყო ევროპისთვის, მას ჰქონდა გაწევრიანებაზე ხელმოწერის საშუალება, ჩვენ კიდევ რაღაც პარაფირების ეტაპამდე მიგვიყვანეს. ეს დაცინვაა და ვარჯიში ხელისმოწერაში. თუ უნდათ ჩვენი ინტეგრირება, არაფრის პარაფირება და პირობები არაა საჭირო.

**— პუტინი ემუქრება უკრაინას და საინტერესოა, რას მოიმოქმედებს ჩვენთან დაკავშირებით?**

— ყველაზე ცუდი ისაა, რომ რუსეთი ჩვენით თითქმის აღარ ღიზიანდება — ელიტის ნაწილს ხელი აქვს ჩაქნეული. „არ იქნება, ნუ იქნება“ — დაახლოებით ასეთია მათი პოზიცია. მაინტერესებს პოლიტიკოსების აზრი: რას ვუპირებთ



ტერიტორიების აღდგენის საკითხს? დავუშვათ, გაგიჟდა ევროპა და ევროკავშირში მიგვიღო ყოველგვარი პირობების გარეშე, ნატო-მაც მიგვიღო წევრად. ამის შემდეგ რა ხდება ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად? ჯერ ერთი, არავინ აგვიყვავებს ეკონომიკას — როგორ მდგომარეობაშიც ვართ, ისეთში ვიქნებით. თუ თავად ამოვქაჩავთ ეკონომიკას, ევროკავშირთან სავალდებულო ურთიერთობებში ჩაბმა რაში გვჭირდება? ევროკავშირის სივრცე შეიცავს ვალდებულებებს — ლგბტ საზოგადოებასთან, ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით, რაც მთლიანობაში, საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს. კარგია, ტოლერანტულები თუ ვიქნებით, მაგრამ სულ სამი მილიონი ვართ და სერიოზული საფრთხე გვემუქრება, ხალხო... რუსეთი არანაირ აქტიურ ზომებს არ მიიღებს და გააგრძელებს იმას, რასაც ვილნიუსის სამიტამდე ისედაც აკეთებდა. ხელში უჭირავთ საბჭოთა კავშირის დროშა და მიუყვებიან ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებს სამაჩაბლოში, ჩვენ კი, გაბუტულის პოზიცია გვაქვს. რუსეთი არ შეეცდება ჩვენს შეჩერებას, მაგრამ ერთი კაცი მაინც მაჩვენეთ საქართველოში, ეკონომისტი და ამავდროულად პოლიტიკოსიც, ვინც გააკეთა ანალიზი, რას გვაძლევს ევროსივრცეში ინტეგრაცია. გონიერი ადამიანი ევროინტეგრაციის მომხრე არ უნდა იყოს, რადგან ამ შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოწინააღმდეგე იქნება. როცა ევრაზიულ კავშირში მიიღებენ აფხაზეთსა და ოსეთს, რომლის წევრი ქვეყნებიც მათ დამოუკიდებლობას აღიარებენ, ამ ტერიტორიებს ვინმე დაგვიბრუნებს?

„ექსპერტთა კლუბის“ წევრი **ირაკლი ცქიტიშვილი**: — ვილნიუსის დოკუმენტის“ პარაფირება იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი და საქართველო ერთად იმუშავებენ საერთო საკანონმდებლო სივრცის შექმნაზე. ეს საჭიროა, რომ ერთი წლის შემდეგ ხელის მოეწეროს ასოცირების ხელშეკრულებას. ეს დრო გვეძლევა, რათა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სივრცეში სტრუქტურულად მაქსიმალურად დავახლოვდეთ.

უნდა გავმიჯნოთ უკრაინისა და საქართველოს ვითარება. უკრაინა ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთზეა დამოკიდებული. პირობები, რომელიც პუტინმა წაუყენა, შეუსრულებლობის შემთხვევაში, სერიოზულ დარტყმას მიაყენებს უკრაინას. ზარალის დაბალანსების საშუალება კი მისთვის ვერ იქნება ევროკავშირის წევრობაზე ხელმოწერა. ჩვენზე კი, წნეხის მოხდენის ეკონომიკური ბერკეტები რუსეთს აღარ გააჩნია. მთლიან ჭრილში თუ შევხედავთ, ეკონომიკა ფაქტობრივად არ გვაქვს და ამ ასოცირებას მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

**— მოვლენები საქართველოში როგორ განვითარდება?**

— შეიძლება ხვალ და ზეგ, ათი წლის შემდეგაც, არავინ მიგვიღოს ევროკავშირში. ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან დაახლოების ერთ-ერთი ეტაპია. ამას უსაფრთხოების თვალსაზრისით აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა. დღეს საქართველო მარტოა რუსეთის პირისპირ, ამიტომ გვჭირდება ძლიერი მომხრეები. ხელმოწერის შემდეგ რუსეთი ნაკლებად იქნება ორიენტირებული, „მეორე აგვისტო“ მოგვიწყოს. ამას გარდა, თუ ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს რუსეთის 150-მილიონიან ბაზარს, რომელიც ხვალ შეიძლება ისევ გადაგვიკეტონ, რატომ უნდა ვთქვათ უარი ევროპის 500-მილიონიან ბაზარზე, რომელიც ასოცირების ხელმოწერის შემდეგ გაიხსნება. ბაზარზე შესვლა ასოცირებაზე ხელმოწერის შემდეგაც იქნება შესაძლებელი. პირველ რიგში, უსაფრთხოებას მივაღწევთ, თორემ ევროპისკენ წასვლა სულაც არ ნიშნავს, რომ ევროკავშირში უნდა შევიდეთ. ეს არ არის პანაცეა. ნატო-ში შესვლა, კი ბატონო, სხვა საქმეა. რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებს, მიმაჩნია რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ევროპის მიდგომა სუსტი და გაუაზრებელია — წინა ხელისუფლების დროს გაცილებით მეტი წნეხი იყო ევროპიდან რუსეთზე. თუ ვფიქრობთ, რომ ტკბილი სიტყვით მოვულბობთ გულს პუტინს და ტერიტორიებს დაგვიბრუნებს, ვცდებით. ყველაზე მეტად მაშინებს მომდევნო ერთი წელი — პარაფირებიდან ასოცირების ხელშეკრულებამდე. კი ვამბობთ, რომ პროვოკაციებს არ უნდა ავყვეთ, მაგრამ სამწუხაროდ რუსეთმა კარგად იცის ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელზეც პასუხის გაცემა ცუდია, გაუცემლობა — უარესი, ამიტომ მიმაჩნია, რომ მძიმე პერიოდი გველის.

# სკანდალური ინტერვიუ თეა თუთბერიძესთან

მე-3 გვერდიდან

**— საეკლესიო პირები ღიად მოითხოვენ, ცალკე ფრაქციას პარლამენტში, მეტიც, თურმე ბიძინა ივანიშვილს მიმართავდნენ კიდეც, სახალხო დამცველად მეუფე იობი დაენიშნა.**

— მადლობა ბიძინა ივანიშვილს, რომ მათი ეს თხოვნა არ გაითვალისწინა, ეს იმდენად ცდება ადეკვატური აზროვნების ჩარჩოებს, რომ თვით ივანიშვილიც კი ვერ აუხდენდა მათ ამ ოცნებას. იმედი მაქვს, არც მომავალში უწერია ახდენა. ამ ქვეყანაში არაფერს გამოვრიცხავ, უბრალოდ, ვიტოვებ იმედს, რომ მსგავსი არაფერი მოხდება.

**— თუმცა ბოლო დროს კონსტიტუციური მონარქიაზე ალაპარაკდნენ და... (არ მამთავრებინებს, — რ.შ)**

— მე მაინტერესებს, რაინდი სად იყო ჩვენს ისტორიაში, იქნებ ეს აგვიხსნას ვინმემ და მერე აღვადგინოთ მონარქია.

**— ამ პროექტს ეკლესია ლობირებს და ხომ არაა ეს ისევ და ისევ გავლენის გასაძლიერებლად, ხომ არ მივიღებთ კონსტიტუციური მონარქიის ნიღაბს ამოფარებულ თეოკრატიულ მონარქიას?**

— ეს არ არის მხოლოდ საპატრიარქოს სცენარი, ეს არის რუსული სპეცსამსახურების ერთ-ერთი სცენარი და სწორედ მათი მხრიდანაა ყველაფერი ხელშეწყობილი. ახლა ამ ყველაფერს ძალზე არასერიოზულად კი ვუყურებთ და გვეცინება, მაგრამ ივანიშვილსაც ძალიან არასერიოზულად უყურებდნენ, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ფულმა დიდი როლი ითამაშა. ამ ყველაფერს შიშით ვიყურებ, რადგან აქ მარტო ბაგრატიონები არ არიან, ამ ყველაფრის უკან დგას ძალიან დიდი რუსული ფული, საპატრიარქო და პატრიარქი, რომლის ერთ სიტყვაზედაც ხალხს შეუძლია, ხვალვე გადმოაყირავოს ბიძინა ივანიშვილის მთავრობაც კი.

**— თავის დროზე, მერაბიშვილიც საუბრობდა, რომ ბაგრატიონები პრიმაკოვის პროექტი იყო, მაშინ ამ ვერსიას ლოგიკა გააჩნდა - რუსეთს სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორება სურდა და თუკი ბაგრატიონები ავიდოდნენ ტახტზე, სააკაშვილი ხავერდოვნად დარჩებოდა განზე. რაღატომ გახდა ეს აქტუალური ინაუგურაციის წინა დღეებში, ისევ კუნთების დემონსტრირებაა?**

— არა მხოლოდ. თუ ვინმეს აქვს ილუზია, რომ საპატრიარქოში, მათ შორის სინოდში, აღარ არიან რუსული სპეცსამსახურების დასაყრდენები, ძალიან ცდება. რუსულმა სპეცსამსახურებმა ძალიან კარგად იციან, რომ ვერც ივანიშვილი და ვერც მის მიერ დანატოვარი გუნდი საბოლოოდ ვერ შეინარჩუნებს იმ მხარდაჭერას, რომელიც ამ ეტაპზე აქვთ. ყველა ძალიან მალე საბოლოოდ დარწმუნდება, რომ მათ ოცნებებს ახდენა არ უწერია და ამ ხელისუფლებას დიდი პერსპექტივა არ გააჩნია, ამიტომაც რამოდენიმე სცენარი არსებობს, მათ შორის ერთ-ერთი სწორედ ბაგრატიონების ტახტზე აყვანაა.

**— ამბობ, რომ პასუხისმგებლობას აკისრებ, პასუხს ითხოვ სახელმწიფოსგან, რომელიც არ აჩერებს ეკლესიას. არადა, იგივე მოხდა უსახლკაროთა თავშესაფრის თემაზე, როცა ეკლესია წინ აღუდგა „იდენტობის“ ამ ინიციატივას. კიდევ უფრო გაუგებარი იყო სერგეენკოს პოზიცია, რომელიც პასუხისმგებელი საზოგადოების წინაშე. საზოგადოებამ ეს ხელისუფლება აირჩია და არა საპატრიარქო. ფაქტია, სახელმწიფო ვერ უძლებს ეკლესიის ზეწოლას, სადამდე შეიძლება მივიდეს ეს?**

— სადამდეც მივედით და კიდევ უარესამდეც. მე ამ პრობლემას ვერ დავაბრალებ ამ ხელისუფლებას, ეკლესია წინა ხელისუფლებამ გაათავხედა.

**— და იმის წინამ?**

— ძალიან კარგად იცით ჩემი დამოკიდებულება შევარდნაძის მიმართ, მაგრამ მან ზუსტად იცოდა, როგორ მოქცეულიყო ეკლესიასთან. 1995 წლის 25 დეკემბერს, ოპერის თეატრში, ილია მეორის აღსაყდრებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, შევარდნაძემ ღიად განაცხადა, რომ მას მიუძღვის ძალიან დიდი წვლილი ილია მეორის პატრიარქად კურთხევაში. კადრები მაქვს ნანახი, როგორ მოდიან შევარდნაძე და ილია მეორე, შევარდნაძე მხარზე ხელს ურტყამს და მღვდელი გამოატარეთ, მღვდელიო — ირონიული სახით ამბობს. ეს კადრები დღესაც ინახება საზმაუწყებლის არქივში. ვერ ვიტყვი, რომ შევარდნაძის გათავხედებულია ეკლესია ან მის დროს იმდენს ბედავდნენ, რამდენიც სააკაშვილის დროს გაბედეს. შევარდნაძე იყენებდა ეკლესიას იმ დოზით, რა დოზითაც სჭირდებოდა, მიხეილ სააკაშვილს მოუვიდა მეტისმეტი, რაც უკან მოუბრუნდა ძალიან ცუდად. მიხეილ სააკაშვილს ვარდების რევოლუციის შემდეგ ჰქონდა ძალიან დიდი ლეგიტიმაცია, დიდი მხარდაჭერა და მაშინ უნდა დაეწყო ამ ინსტიტუტთან იმ ფორმით ურთიერთობა, როგორც ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა — დაეჭირა მღვდლები, რომლებსაც ნარკოტიკები შეჰქონდათ ციხეებში პატიმრებთან, არ გამოეშვათ, არ მიეჩქმალათ ეს ფაქტები და ა.შ. მაშინ ჩვენ ამ რეალობის წინაშე არ აღმოვჩნდებოდით. სამწუხაროდ, ეს ჯერ არ გააკეთა და მერე უკვე ველარ გააკეთა და ივანიშვილის ხელისუფლებას ძალიან ცუდი მემკვიდრეობა ერგო. იგი ვერც შეძლებს ამის წინააღმდეგ ბრძოლას და ბევრს არც ექნება სურვილი, წინააღმდეგობა გაუწიოს ეკლესიის მსგავს გამოვლინებებს.

**— ამ ინტერვიუს შემდეგ, როგორც მინიმუმ, ბართლომეს წყევლა გელის!**

— ეს ძალიან სასაცილოდ მეჩვენება. მე არ ვთვლი ამ ადამიანებს სასულიერო პირებად, ისინი ჩემთვის სხვა რაღაცასთან ასოცირდება და არა იმ ანაფორიან კრიმინალებთან, რომლებიც დღეს ეკლესიას აფარებენ თავს. იმ მიდგომებით, რომელიც ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს, იგი დღეს თუ ხვალ აუცილებლად ჩამოიშლება. რამდენადაც არ უნდა ცდილობდეს, ჰყავდეს ბნელი მრევლი, ტექნოლოგიები, პროგრესი თავისას გაიტანეს. საერთოდ, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია განათლების პრობლემა და, მგონი, სააკაშვილიც მიხვდა, რომ დაუშვა ძალიან დიდი შეცდომა, განათლებაში რომ არ ჩადო იმაზე მეტი, ვიდრე დებდა სახელმწიფო. ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ახალგაზრდა განათლებას ილებდეს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, სადაც არა გვაქვს კარგი სისტემა, არამედ ქვეყნის გარეთ. მაინც ვფიქრობ, რომ მიხეილ სააკაშვილს არ დაუსრულებია თავისი პოლიტიკური კარიერა და გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ შეძლებს ამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმის კეთებას. ვფიქრობ, მთელი ის შეცდომები...

**— არ გამორიცხავ ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მობრუნებას?**

— რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, მაგრამ ვფიქრობ, იგი იმ გუნდთან ერთად, რომელი ჰყავდა, არ უნდა მობრუნდეს.

**— ვისთან გაქვს პრეტენზია?**

— ძალიან ბევრთან, შაშკინით დაწყებული და ბევრი სხვა ადამიანით დამთავრებული, ვინც კახა ლომაიას შემდეგ, განათლების რეფორმა აქცია ფასადურ რეფორმად. შეცდომა იყო იმათი გვერდით დაყენება, ვინც მხოლოდ შემსრულებელი იყო და საკუთარი ტვინი ნაკლებად ჰყოფნიდა, საკუთარ უწყებაში საქმე დამოუკიდებლად ეკეთებინა. ასეთი მონური მენტალიტეტის ადამიანები არ უნდა იდგნენ სააკაშვილის გვერდით, რადგან სწორედ ამან დაღუპა.

**— თქვენც ეთანხმებით მოსაზრებას, რომ სააკაშვილი დაიღუპა? სად ჩანს, რომ დაღუპულია, ორი ვადა მოათავა მშვიდობიანად და თანაც ვამბობთ, რომ აქვს ხელისუფლებაში მობრუნების შანსი?!**

— არა, მე ვსაუბრობ იმაზე, რომ მისმა ხელისუფლებამ ვერ შეინარჩუნა პოლიტიკური ძალაუფლება ქვეყანაში.

**— გამოდის, რომ დაიღუპა მისი გარემოცვა და არა თავად სააკაშვილი, რომელსაც ადგილი განაღდებული აქვს ისტორიაში.**

— დაიღუპა გარემოცვა და რეალურად ქვეყანა, თორემ მართალი გითხრათ, ეგ გარემოცვაც ნაკლებად მაინტერესებს. ჩემთვის მთავარია ქვეყნის ინტერესები და ის საფრთხე, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას, თორემ სააკაშვილი მსოფლიოში დარჩა, როგორც დემოკრატიული ლიდერი. ამ საფრთხეების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, თუ სწორად გატარდებოდა რეფორმები და შეირჩეოდა კადრები. სამწუხაროდ, სააკაშვილის გარემოცვიდან ჩამოაშორეს ბაჩო ახალაიას გარდა, ყველა ის მინისტრი, რომელიც დამოუკიდებელი მოთამაშე, ფიგურა იყო დაწყებული კახა ლომაიადან დამთავრებული კახა ბენდუქიძით, ყველა, ვინც გადაწყვეტილებას იღებდა და აქედან დაიწყო ხელისუფლების ჩამოშლა, რეალურად კი მივიდა იმ ლოგიკურ დასასრულამდე, სადაც მივიდა.

# „რადარები მალე მთელი ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟდება“

## შსს-ს სტატისტიკა — სადაც რადარები დამონტაჟდა, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობამ 80%-ით იკლო, დაღუპულთა რაოდენობა კი 85%-ით შემცირდა



რუსუდან შელია
557-100-768

**რადარების განთავსების შედეგად, თბილისში ავტოსაგზაო შემთხვევათა რაოდენობა 80%-ით, ხოლო დაღუპულთა რაოდენობა 85%-ით შემცირდა, — ამ სტატისტიკას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. უწყების განცხადებით, ქვეყნის მასშტაბით რადარების დამონტაჟების პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. „ვერსიას“ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ლევან მაჭავარიანი ესაუბრა.**

— ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით თბილისში, იქ, სადაც რადარები დამონტაჟდა, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობამ 80%-ით იკლო. საგულისხმოა, რომ დაღუპულთა რაოდენობაც 85%-ით შემცირდა. მაგალითად, შარშან ამ პერიოდში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, 39 ადამიანი დაიღუპა, წელს კი მხოლოდ 6, ხოლო 2013 წლის ნოემბერში მსხვერპლი საერთოდ არ ფიქსირდება. ეს მონაცემები ნათლად მეტყველებს, რომ პროგრამა წარმატებული აღმოჩნდა.

**— რადარები მხოლოდ თბილისში მონტაჟდება თუ საქართველოს მასშტაბითაც იგეგმება მძღოლებისთვის სიჩქარის გადაჭარბების შეზღუდვა?**

— რა თქმა უნდა, ეტაპობრივად, ამ პროგრამამ მთელი ქვეყანა უნდა მოიცვას.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა მიმდინარე წლის ივლისში დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და საკვანძო ადგილებზე, სადაც სიჩქარის გადაჭარბებისა და ავტოსაგზაო შემთხვევების რისკი დიდია, სიჩქარის მზომი ახალი 17 რადარი დაამონტაჟა, უახლოეს მომავალში კი რადარები საქართველოს მასშტაბით განთავსდება. მძღოლთა და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებისა და მოძრაობისას გადაჭარბებული სიჩქარის მაქსიმალურად შემცირების მიზნით, 1 დეკემბრიდან გურია-აჭარაში დამონტაჟებული 18 რადარიც ამუშავდება. ასე რომ, სიჩქარის მზომი რადარები სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო მონაკვეთის 21-ე კილომეტრიდან სარფამდე განთავსდა, რომელთა სიახლოვეს სიჩქარის შეზღუდვისა და რადარის მაჩვენებლის საგზაო ნიშნები განთავსდა, რომლებზეც ვიდოკამერა და დასაშვები სიჩქარეა განსაზღვრული.

**— რადარებთან სიახლოვეს მაქსიმალური სიჩქარე რა პრინციპით განისაზღვრა?**

— თითოეული რადარისთვის ოპტიმალური სიჩქარე შევარჩიეთ და, ძირითადად, გზის დატვირთვის მაჩვენებელი, ასევე გზის საფარი, დამცავი ჯებირები და მოხვევის რადიუსი გავითვალისწინეთ. რადარის სიახლოვეს სიჩქარის მინიმალური დიაპაზონი 40 კმ/სთ-ით განისაზღვრა, მაქსიმალური — 110 კმ/სთ-ით. მაგალითად, ქობულეთის სანაპიროზე დაშვებული სიჩქარე 40 კმ/სთ-ით მხოლოდ იმ მიზეზით განვსაზღვრეთ, რომ იქ ტურისტების დიდი ნაკადია და მოძრაობაც გადატვირთულია, გზატკეცილზე კი, რომელიც თბილისს დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებს — 110 კმ/სთ-ით მოძრაობაა დასაშვები. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მძღოლს შეუძლია დასაშვები სიჩქარის დადგენილ ზღვარს 15 კმ/სთ სიჩქარით გადააჭარბოს, სიჩქარის მეტად გადაჭარბებაზე კი 100-ლარიანი ჯარიმაა გათვალისწინებული.

**— ცნობილია, რომ ნოემბრიდან ჯარიმები უნდა განახევრდეს და შსს-ს მიერ ინიცირებულ კანონპროექტს პარლამენტი უახლოეს მომავალში დაამტკიცებს.**

— დიახ, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ სამართალდარღვევებზე სახდელის ოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით, კანონპროექტი პარლამენტს განსახილველად წარედგინა. ცვლილებების დამტკიცების შემდეგ, სიჩქარის გადაჭარბებისთვის გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა განახევრდება და დამრღვევი მძღოლი მხოლოდ 50 ლარით დაჯარიმდება, აღნიშნული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, საურავის ოდენობა კი, 500-ის ნაცვლად, 150 ლარი იქნება. დგომა-გაჩერებისთვის წესების დარღვევა 10-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს, მისი გადაუხდელობის შემთხვევაში კი მოქალაქე 150-ლარიან საურავს გადაიხდის; ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის 100-ლარიანი ჯარიმა ნახევრდება, ღერძულა ხაზის განმეორებით გადაკვეთის შემთხვევაში 200-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, მოქალაქე 100-ს გადაიხდის, ჯარიმისა და საურავის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში კი, 2 წლის ნაცვლად, მართვის უფლება 1 წლით ჩამოერთმევა, ხოლო ჩამორთმეული მართვის უფლების შეცვლა 1 500-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, ათასლარიანი ჯარიმის გადახდით იქნება შესაძლებელი. საზოგადოება შსს-ს ჰუმანურ გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში ყოველდღიურ ცხოვრებაში იგრძნობს.

**— ჯარიმებზე გადასახადის შემცირების პარალელურად, მძღოლების მხრიდან ადმინისტრაციული დარღვევების მაჩვენებლის ზრდას არ ელოდებით?**

— შევეცადეთ, ჯარიმის აღმზრდელობითი ფუნქცია შეგვენარჩუნებინა. ადრე ჯარიმებს რეპრესიული დატვირთვა ჰქონდა, რადგან მძღოლებს გაუმართლებლად მაღალი თანხის გადახდა უწევდათ. სხვათა შორის, რიგ გადაცდომებზე ჯარიმები არამხოლოდ დავტოვეთ, გავამკაცრეთ კიდეც. მაგალითად, სიმთვრალის შემთხვევაში ჯარიმა 200 ლარით შემოიფარგლებოდა. ცვლილებების მიღების შემთხვევაში, ნასვამ მძღოლს მართვის უფლებას ნახევარი წლით ჩამოართმევენ. სამწუხაროდ, ადრე საზოგადოების ნაწილისთვის ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა ვაჟკაცობასთან ასოცირდებოდა. დღეს კი, ნასვამი მძღოლი როგორც მინიმუმ, მოსახლეობაში გაკვირვებას იწვევს. შესაძლოა, ჯარიმების განახევრება ვიღაცამ ნაკლებად პრევენციულ ღონისძიებად ჩათვალოს, მაგრამ კონკრეტულ მაგალითებს დაგისახელებთ, როცა ჯარიმის მაღალი გადასახადი მოსახლეობაში უსამართლობის განცდას იწვევდა: სასტუმრო „ჰოლიდეი ინთან“ მცხოვრებმა პირებმა, მოძრაობის გადატვირთულობის გამო, ერთ დღეში 200-300 ლარის ოდენობის ჯარიმა მიიღეს. ბუნებრივია, თითოეულ დარღვევაზე საპატრულო პოლიციამ შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინოს, თუმცა სადამსჯელო რაზმს არ უნდა დავემსგავსოთ. ასე რომ, ჯარიმების განახევრების მიუხედავად, მძღოლების მხრიდან ადმინისტრაციულ კანონდარღვევების ტალღას არ ველოდებით. ამასთან, ხაზგასმით ვამბობ, არავინ ჩათვალოს, რომ პატრული რაც მეტ ჯარიმას გამოწერს, საპატრულო პოლიციის ბიუჯეტი იზრდება. ჯარიმებიდან არც ერთ თეთრს პრინციპულად არ ვიღებთ და ამაზე არც საპატრულო პოლიციის თანამშრომლის ხელფასი ან პრემიაა დამოკიდებული.

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ
ГРУЗИЯ




## ყალბი დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე სამი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყალბი დოკუმენტის დამზადება-გასაღების ბრალდებით 3 პირი – 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გურამ გ, 1990 წელს დაბადებული გიორგი კ. და 1990 წელს დაბადებული მარიამ ჩ. თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები გარკვეული თანხის სანაცვლოდ, საქართველოს მოქალაქეებს საზღვრის უკანონო გადაკვეთის მიზნით, საზღვარგარეთის ყალბ პასპორტებს უმზადებდნენ. მათ ერთ-ერთ მოქალაქეს უცხო ქვეყნის მოქალაქის ყალბი მოწმობაც დაუმზადეს. სამართალდამცავებმა მარიამ ჩ-ს ავტომანქანის ჩხრეკისას გაყალბებული საბუთების გასაღების შედეგად მიღებული თანხა – 1000 ევრო ამოიღეს. ნივთმტკიცებად ასევე ამოღებულია გაყალბებული საბუთები. გამოძიება ყალბი დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

***„ვერსიანიუსი“***

## შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1986 წელს დაბადებული ამირან გ. ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს. სამართალდამცავებმა ბრალდებული სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას 12 აბი „სუბოქსინი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,096 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება ბუპრენორფინს შეიცავს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

***„ვერსიანიუსი“***



## შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ცაგერის რაიონის სოფელ ზუბში ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს — ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლიდან კუსტარულად დამზადებული 5,6 მმ კალიბრის ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 15 ვაზნა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

***„ვერსიანიუსი“***



## ვლადიმერ პუტინმა უკრაინას დავალიანებები შეახსენა

იტალიაში ვიზიტისას რუსეთის პრეზიდენტმა კიევს ის დავალიანებები და შეღავათები გაახსენა, რომლებზეც კრემლი წავიდა და აღნიშნა, რომ უკრაინისთვის გაზის ტარიფზე შეღავათის დაწესების გამო, რუსეთმა 10 მილიარდი დოლარი იზარალა.

პუტინის თქმით, კიევს რუსული ბანკების ვალი აქვს 30 მილიარდი დოლარი: **„გადაწყვეტილება — ხელი მოაწეროს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას — უკრაინის სუვერენული უფლებაა და ჩვენ ნებისმიერ გადაწყვეტილებას მივიღებთ. აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნებისთვის იმის თხოვნა, გადაწყვიტონ რომელთან სურთ კავშირის გაღრმავება – ევროკავშირთან თუ რუსეთთან, შეცდომა იქნებოდა“.**

უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილების გამო, რომელიც ქვეყნის ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულების პროცესის მზადების შეჩერებას გულისხმობს, კიევში ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები კვლავ მიმდინარეობს. უკრაინის პრეზიდენტმა, ვიქტორ იანუკოვიჩმა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზად ნაციონალური უსაფრთხოება და ეკონომიკური ინტერესები დაასახელა.

***„პირველი“***



## რიგის ტრაგედიის გამო, ლატვიის პრემიერ-მინისტრი და მთავრობა გადადგა

ლატვიის საინფორმაციო სააგენტო Delfi-ს ინფორმაციით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ვალდის დომბროვსკიმ თანამდებობა დატოვა. პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ მისი გადაწყვეტილება ზოლიტუდში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება — სავაჭრო ცენტრის ჩამონგრევის შედეგად, ათობით ადამიანი დაიღუპა. **„ქვეყანას სჭირდება ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია პრობლემების სწრაფი მოგვარება. ჩემი აზრით, ამ ვითარებაში საჭიროა ახალი ხელისუფლების დამტკიცება ახალი ნდობის გამოცხადებით“,** — განაცხადა დომბროვსკიმ და ლატვიის მოსახლეობას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

***„ექსპრესნიუსი“***




## ლიტვის პრეზიდენტმა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორებს მოქალაქეთა მოთხოვნის მოსმენისკენ მოუწოდა

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის მიმღებმა, ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ, ლიტვის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებს მოუწოდა, რეფორმების რეალიზების გადაწყვეტის საკითხში, სამოქალაქო საზოგადოების ხმას მოუსმინონ. დალია გრიბაუსკაიტეს არ დაუსახელებია ქვეყნები, მაგრამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა თქვას თავისი სიტყვა, როდესაც ხელისუფლება მერყეობს: **„მოვუწოდებ სამოქალაქო საზოგადოებებსმ ილაპარაკონ ძლიერი ხმით, თუ ხელისუფლების წარმომადგენლები უპასუხისმგებლოდ იქცევიან“.**

***„ნიუპოსტსი“***

# იანუკოვიჩმა უკრაინელი ბიზნესმენების ზეწოლას ვერ გაუძლო?!



## უკრაინის გახლეჩის რა სახიფათო ბერკეტს ფლობს რუსეთი და ასრულდება თუ არა ყირიმის გამოყოფის „რუსული ოცნება“?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ვილნიუსის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე უკრაინის პრეზიდენტმა გადაწყვეტილება შეცვალა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის პროცესი შეაჩერა, რასაც უკრაინელი ხალხისა და ოპოზიციის პროტესტი მოჰყვა — კიევის ცენტრალურ ქუჩებში საპროტესტო აქციები არ წყდება. ვილნიუსის სამიტამდე ერთი დღით ადრე, უკრაინის დედაქალაქში ლიტვის სეიმის თავმჯდომარე ჩავიდა და მომიტინგეები გაამხნევა. რა ხდება უკრაინაში? რა კავშირშია იულია ტიმოშენკოს გათავისუფლების შესახებ ევროპელი ლიდერების დაჟინებული მოთხოვნა საპროტესტო აქციებთან? რამდენად რეალურია უკრაინის ხელისუფლების „ევრორემონტი“ და გამოიყენებს თუ არა რუსული გაზის გადაკეტვის ბერკეტს პუტინი უკრაინის წინააღმდეგ? „ვერსიას“ ექსპერტთა კლუბის დამფუძნებელი სოსო ცისკარიშვილი ესაუბრება.**

— უკრაინა მნიშვნელოვანი ქვეყანაა ევროკავშირისთვის. მას რუსეთის, განსაკუთრებით, კრემლის გულში, დიდი ადგილი უკავია. ევროკავშირთან ურთიერთობის გასამყარებლად მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, რუსეთ-უკრაინის საუკუნოვანი პარტნიორობის რღვევა იქნებოდა. პუტინის ოცნება კი, რომელსაც საბაჟო და ევრაზიული კავშირი ჰქვია, დიდი ალბათობით, დაიმსხვრეოდა. იანუკოვიჩის გადაწყვეტილებას რამდენიმე მიზეზი აქვს — ზეწოლა რუსეთიდან, რომლის სტრატეგიულ ინტერესებში არ შედის უკრაინაზე გავლენის შემცირება; ზეწოლა ევროპა-ამერიკიდან, იულია ტიმოშენკოს პატიმრობის დასრულების მოთხოვნით. ეს საკითხი გადაუჭრელია, მაგრამ კრემლში იანუკოვიჩი-პუტინის მალული შეხვედრის შემდეგ, ტიმოშენკოს გათავისუფლების პერსპექტივა ნაკლებდამაჯერებელია; და ზეწოლა, მსხვილი უკრაინელი ბიზნესმენებისგან. ევროკავშირი მზად იყო, ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისას თუ უკრაინა რუსულ ემბარგოს ვერ გადაურჩებოდა, გაეხსნა მისთვის ევროპის ბაზარი. ერთია პროცედურული შეღავათი, მეორე — ხარისხის დაცვის აუცილებლობა, რასაც ევროპის ბაზარზე შესასვლელად სპეციალური მახასიათებლები სჭირდება. ამან კი უკრაინელ მწარმოებლებში შიში გააჩინა.

**— უკრაინული პროდუქცია ევროკავშირის სტანდარტებს არ შეესაბამება?**

— ხარისხით უკრაინული წარმოება ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში არ მოდის. დასამალი არაა, რომ ჩვენს მეგობარ უკრაინაში, კორუფცია არსებობის წესია. დიდ ბიზნესს საკუთარი პროდუქციის ევროპულ ბაზარზე განთავსების იმედი არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას ორგანიზაციული ხასიათის გარანტიები ბრიუსელიდან უკვე გააჩნდა.

**— რუსეთმა და უკრაინელმა ბიზნესმენებმა ვერ გათვალეს, რომ ვილნიუსის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე, ქვეყნის ევროპული რელსებიდან გადასვლას საპროტესტო აქციები მოჰყვებოდა?**

— კორუმპირებული უკრაინული ბიზნესისთვის სამოთხე სწორედ რუსული ბაზარია. კრემლს გავლენა აქვს სახელმწიფოს მეთაურზეც და დიდ ბიზნესზეც. რასაკვირველია, უკრაინელი ბიზნესმენების პროტესტიც კრემლის მიერ იყო ინიცირებული. ეს უფრო თავისსამართლებელ არგუმენტად დასჭირდებოდა იანუკოვიჩს, რათა განეცხადებინა, ბიზნესმენებიც შეწუხებულები არიანო — თითქოს 2013 წლის 9 ნოემბრამდე, პუტინთან შეხვედრამდე არ იცოდა იმ საფრთხის შესახებ, რაზეც შემდგომ ალაპარაკდა. ევროკავშირთან მიმართებაში უკრაინა ისეთივე როლში აღმოჩნდა, როგორც 2008 წლის გაზაფხულზე საქართველო ნატო-სთან — ნატო-ს სამიტზე თქვეს, რომ ნატო-ს კარი ღიაა საქართველოსთვის. იმის შემდეგ, „ორპირ“ ქარში, ლამის მთელი ქვეყანა „გაცივდა“, მაგრამ ნატო-ს კარს მაინც ვერ მივაგენით. უკრაინისთვისაც ღიაა ევროკავშირის კარი, მაგრამ პრობლემაა — შეეტევა ამ კარში უკრაინა თუ ვერა?

**— უკრაინისთვის ევროკავშირის კარი ყოველთვის ღია იყო, რადგან იქვეა ევროკავშირისა და ნატო-ს წევრი ქვეყანა პოლონეთი. დასავლეთ უკრაინული აქცენტი, პოლონურისგან დიდად არ განსხვავდება და მათ ერთმანეთის გაგება არ უჭირთ. ასეთ პირობებში, რუსეთის ზეწოლა უშედეგო არ არის?**

— უკრაინასთან შედარებით, პოლონეთის სახელმწიფოებრიობა დიდი ხანია ჩამოყალიბებულია, იანუკოვიჩი კი დიდ პოლიტიკაში გამოუცდელია. მან გაიზიარა ყველა ზეწოლა, მაგრამ დაავიწყდა, ვინ არის მისი ძალაუფლების ინიციატორი ქვეყანაში — საკუთარი ხალხი დაივიწყა. ვფიქრობ, უკრაინაში განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვანი იქნება, რომ იანუკოვიჩი ევროპისკენ შემოტრიალდეს. მისთვის უპირველესი ფასეულობა, უკრაინის მმართველობის უმაღლეს მწვერვალზე საკუთარი თავის ხილვაა და ამისთვის შემხვედრი ნაბიჯების გადადგმაც აუცილებელია. ფაქტია, იგი მზადაა, გააგრძელოს კომუნიკაცია. ევროკავშირშიც არიან მაღალი რანგის მოხელეები, რომლებსაც არ უნდათ დაჯერება, რომ 29 ნოემბერს ხელმოწერის პროცედურა არ შედგება. ადრე თუ გვიან, იანუკოვიჩს მოუწევს, საკუთარ ხალხს ანგარიში გაუწიოს, იმის მიუხედავად, შეინარჩუნებს თუ არა თანამდებობას. პროტესტის მეორე დღესვე, უკრაინელმა ტელეწამყვანმა შუსტერმა უამრავი ადამიანი გამოკითხა — უკრაინელი პროფესორების 87% და ახალგაზრდების 74% იანუკოვიჩის ამ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება. აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებთა 68% ამართლებს იანუკოვიჩის გადაწყვეტილებას, 32% წინააღმდეგია. დასავლეთ უკრაინის მოსახლეობის 67% ეწინააღმდეგება იანუკოვიჩს, 33% ამართლებს. ცენტრალური უკრაინა ევროპის მხარესაა, სამხრეთ უკრაინაშიც, კაზაკებიც კი შეუერთდნენ დემონსტრაციებს.

**— ქვეყნის პროევროპულობას საფრთხეს არ შეუქმნის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში, სადაც რუსები კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი, მხარს იანუკოვიჩს უჭერენ?**

— რუსეთისკენ შემოტრიალება არასოდეს იქნება უკრაინის ნება, მაგრამ სამწუხაროდ, რუსეთს სხვა უფრო მტკივნეული ბერკეტებიც გააჩნია. მათ გამოყენებას კრემლი საქართველოს წინააღმდეგაც შეეცადა, ამავე მეთოდით შეაცვლევინა ორიენტაცია სომხეთს, იმედია, დროებით.

**— ეკონომიკურ ბერკეტებს გულისხმობთ თუ ეთნოკონფლიქტებს?**

— ვგულისხმობ ყირიმსა და მისი გადაცემის ისტორიას რუსეთიდან უკრაინისთვის. ასევე, დაფარულ განწყობას, რასაც უკრაინის გაყოფის რუსული ოცნება ჰქვია. ამის სურვილი რუსეთის მმართველ წრეებში მანამ იარსებებს, სანამ რუსულ იმპერიაზე ოცნება საბოლოოდ დაიმსხვრევა. ვფიქრობ, სერიოზული ბერკეტი — ყირიმი რუსეთს იმ შემთხვევისთვის აქვს შემონახული, თუკი უკრაინელი მოსახლეობა ნატო-ს წევრობას გადაწყვეტს. ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებას უნარი სჭირდება. საქართველოს უამრავი სატკივარი აქვს, მაგრამ ყველაზე მძიმე ვითარებაში არ ვართ. ჩვენ უკვე ვიწვნიეთ რუსეთის მზაკვრობა — გვასწავლა, როგორ მოვიქცეთ ემბარგოს დროს, უკრაინას კი ასეთი „გამოცდილება“ არ აქვს.

**— როცა ევროკავშირი იულია ტიმოშენკოს გათავისუფლებას მოითხოვდა, მან განაცხადა, მზად ვარ, ციხეში ვიჯდე, ოღონდ ქვეყნის ინტერესები არ დაზარალდესო. რა კავშირი აქვს ამ განცხადებას უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან და აქტუალურია რუსული გაზის თემა, როგორც პუტინის ბერკეტი უკრაინის წინააღმდეგ?**

— იულია ტიმოშენკოს ეს ნაბიჯი მძიმეწონიანი პოლიტიკოსის მიერ ვითარების სწორად შეფასების შედეგია. ნოემბრის დასაწყისში, ბრიუსელსა და ბერლინში, ევროპარლამენტისა და ბუნდესტაგის დეპუტატებს გავესაუბრე. მაკვირვებდა, რომ ისინი ტყუპისცალებად მოიხსენიებდნენ ტიმოშენკოსა და მერაბიშვილს. ვფიქრობ, ამ განცხადებით, ტიმოშენკომ სიმამაცის გაკვეთილი ჩაუტარა მერაბიშვილს. დაველოდოთ, მიბაძავს თუ არა მას ქართველი „ტყუპისცალი“. რაც შეეხება რუსულ გაზს, რუსეთის მონოპოლისტური ფუნქცია ევროპის ენერგომატარებლებით მომარაგებაში თანდათან საეჭვო ხდება. უკრაინა ევროპის მკვებავ არტერიად რჩება — იმ ფონზე, როცა რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი ანგელა მერკელიც კი მკაცრად აკრიტიკებს პუტინს სომხეთისა და უკრაინის ზეწოლის გამო, რუსეთის ეშმაკობა გაზის მიწოდების საკითხში, პრაქტიკულად, გამორიცხულია.

**— ოპოზიციონერები და მომიტინგეები აცხადებენ, რომ ქვეყნის ხელისუფლებას „ევრორემონტი“ სჭირდება. უკრაინის „ევრორემონტი“ რეალურია?**

— ევრორემონტი ცნობიერებიდან იწყება. პროცესი მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებული, თუ მოსახლეობის უმრავლესობა ჯერ საკუთარ თავს ჩაუტარებს „ევრორემონტს“. „ევრორემონტი“ რეგიონებსაც სჭირდება, მაგალითად, სამხრეთ კავკასიას არ აწყენდა, მაგრამ ეს ჩვენზე ადრე ევროპელებმა გაითავისეს — ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამებს ახორციელებდნენ, ახლა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაა აქტუალური. რა ძალა დასდგომია ფუფუნებაში მცხოვრებ ევროპას, შრომით მოძიებული თანხის ნაწილი სამხრეთ კავკასიაში უკეთესი ცხოვრების ასაწყობად დახარჯოს?! სამწუხაროდ, თავად (მხოლოდ საქართველოს არ ვგულისხმობ) ვქმნით ხელოვნურ ბარიერებს გზაზე, რომელზეც გვეპატიჟებიან. ბარიერებში ვგულისხმობ კანონებს მიგრაციის, სურსათის უსაფრთხოებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ. ხელისუფლებას არ უნდოდა და არ იღებდა ამ კანონებს, რომელთა გარეშე ევროპაზე ოცნება ფუჭი იქნება.

# უზენაეს სასამართლოში მედიაციის პროცესებისთვის დარბაზები გაიხსნა

*უზენაეს სასამართლოში ცოტა ხნის წინ იმ ოთახების პრეზენტაცია გაიმართა, სადაც მედიატორებს შესაძლებლობა ექნებათ საქმეთა სიმრავლიდან გამომდინარე, ასევე ჩაატარონ მედიაციის პროცესები. მედიატორებს კონკრეტულ საქმეს მხარეთა შეთანხმებით მოსამართლე უგზავნის. მედიაციის ინსტიტუტის ამოქმედებით მოხდება სასამართლოს განტვირთვა იმ კონკრეტული საქმეებისგან, რომლებიც კანონის თანახმად, მედიატორების განხილვას დაექვემდებარება.*





ქართულ სამართლებრივ სივრცეში მედიაციის ამოქმედების ინიციატორი სასამართლო ხელისუფლება გახლდათ. მედიაცია ეს არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი კონფლიქტის მოლაპარაკებების გზით გადაჭრას.

მედიატორი არის ნეიტრალური, დამოუკიდებელი და სათანადო უნარებით აღჭურვილი ადამიანი, რომლის ამოცანაა, დაეხმაროს მოდავე მხარეებს დიალოგის წარმართვასა და მათთვის მისაღები, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაში.

მედიაციის ინსტიტუტის განვითარების მიზნით, სასამართლო ხელისუფლება უკვე ორი წელია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. პროცესში აქტიურად არიან ჩართულები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, თბილისის საქალაქო სასამართლო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

სპეციალური კონკურსის საფუძველზე შეირჩა 16 პიროვნება, რომლებმაც გაიარეს ინტენსიური მომზადების ტრენინგები, სადაც მოწვეულები იყვნენ საერთაშორისო კლასის ბრიტანელი, ამერიკელი, გერმანელი და ჰოლადიელი ექსპერტები.

მედიაციისთვის გამოყოფილია სპეციალური ოთახები თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც დეკემბრის დასაწყისიდან გაიმართება მედიაციის პროცესები. მომავალში მედიაციისთვის ასევე გამოიყოფა სამუშაო სივრცე   მართლმსაჯულების სახლში", რომლის პრეზენტაცია მომავალ წელს არის დაგეგმილი.

# დაკითხვა დისტანციურად

მცხეთის რაიონულ სასმართლოში საქმის განხილვისას ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად საჭირო გახდა მოწმის დაკითხვა, რომელიც იმყოფებოდა ქალაქ დუშეთში, საქმის დროული განხილვის მიზნით მოწმე გამოცხადდა დუშეთის მაგისტრატ სასამართლოს შენობაში, საიდანაც იგი დაიკითხა მოწმის სახით, დისტანციურად, ელექტრონული ვიდეო საშუალების გამოყენებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 127-ე და 148-ე მუხლებით დადგენილი წესით.

საქართველოს საერთო სასამართლოები მომავალშიც გააგრძელებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების გამოყენების მიზნით.



# ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი

*რუსთავის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ მ. მ-ს მიმართ ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.*

საქმის მასალების მიხედვით, მ.მ-ს ბრალად ედებოდა ყაჩაღობა (თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით); ცეცხლსასროლი იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება (2013 წლის 10 თებერვლის ეპიზოდი); საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება (2013 წლის 14 თებერვლის ეპიზოდი).

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 2013 წლის 10-11 თებერვალს, გარდაბნის რაიონის ახალ სამგორში, დაახლოებით 22:30 საათიდან, 03:00 საათამდე პერიოდში თავის საცხოვრებელ სახლში, ა. ჯ-სა და ლ. კ-ძეს თავს დაესხა, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებში შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღითა და ხელყუმბარით, რომელსაც უკანონოდ ატარებდა, შეიარაღებული მ. მ. და ორ გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით დაზარალებულებს გასტაცა ოქროს სამკაულები.

მისთვის წაყენებული ბრალდებით, მ. მ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა და ინახავდა სამ ცალ ვაზნას, რომელიც მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ასევე ქარხნული წესით დამზადებულ ხელის მსხვრევად ყუმბარას, რომელიც პიროტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას, რომელსაც იგი 2013 წლის 14 თებერვალს უკანონოდ ატარებდა.

საქმის არსებითად განხილვისას ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ. სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი და სასამართლოს სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების, მოწმეთა ჩვენებებისა და მხარეთა განმარტებების შეფასების შედეგად ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო ყაჩაღობაში, ესე იგი თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით (2013 წლის 10 თებერვლის ეპიზოდი), ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვში (2013 წლის 10 თებერვლის ეპიზოდი), ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო ტარებაში (2013 წლის 10 თებერვლის ეპიზოდი), ასევე ბრალდებიდან ამოერიცხა საბრძოლო მასალის - სამი ცალი ვაზნის შეძენა, შენახვა (2013 წლის 14 თებერვლის ეპიზოდი) და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისათვის საჭირო ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც დაადასტურებდა მის ბრალეულობას ბრალად შერაცხულ ქმედებებში და გახდებოდა საფუძველი მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის.

საბოლოოდ, მ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (2013 წლის 14 თებერვლის ეპიზოდი - ხელყუმბარის შეძენა, შენახვა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. ასევე, მ. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2013 წლის 14 თებერვლის ეპიზოდი - ხელყუმბარის შეძენა-შენახვა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ს 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, მ. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

**პროექტს ახორციელებს "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"**

**ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com**

# პოეტ ნანა დავარის ბენეფისი თბილისში



ცნობილი პოეტი ნანა შაბათაშვილი-დავარი, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, ოფიციალური მოწვევით, ოქროსფერი შემოდგომის ფერებში გახვეულ თბილისს ეწვია.

წმინდა მიწაზე 90-იან წლებში წასული ქალბატონი ნანა ხშირად ჩამოდის საქართველოში და ყოველთვის დიდი ემოციით იკრავს გულში მშობელ ქვეყანას. საოცარი გრძნობით მოივლის ხოლმე სოლოლაკს, სადაც გაიზარდა, მთაწმინდასა და ფუნიკულიორს, სადაც სულიერ შვებას გრძნობს.

თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე აჩვენეს მის საოცარ ლექსებზე შექმნილი სპექტაკლი, რომელსაც სცენური სული, ჩვეული ოსტატობით ცნობილმა მსახიობმა, ამჟამად ისრაელში მცხოვრებმა, ნანა ბერაძემ შთაბერა.

წლევანდელ ფესტივალს ისრაელიდან მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი პროექტი სტუმრობდა — რეჟისორისა და მსახიობის, ნანა ბერაძის მონოსპექტაკლი „რა უსაშველოდ, უსაზღვროდ ცივა“, რომელიც პოეტ ნანა შაბათაშვილი-დავარის ლექსების მიხედვით დაიდგა.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლი სრული ანშლაგით წარიმართა. სცენაზე საოცარი გრძნობითა და ვნებით ილვრებოდა პოეტის სულიერი სამყარო. ყოველი სტრიქონიდან იგრძნობოდა, რომ ქალბატონი ნანა სულიერად მაინც საქართველოშია, ჩვენ გვერდითაა და ამ განწყობით აკეთებს წმინდა მიწაზე ქართულ საქმეს. ეს ემოციური მუხტი სპექტაკლში კარგად გამოჩნდა და ამიტომაც, გადაჭედილ დარბაზში მადლიერი მაყურებლისგან მქუხარე ტაში გაისმა.

სცენაზე მსახიობ ნანა ბერაძესთან ერთად ავტორი, ქალბატონი ნანა დავარი იხმეს. ოვაციებითა და თაიგულებით გულაჩუყებული პოეტი დიდხანს უხდიდა მადლობას მსახიობს, თეატრის ხელმძღვანელობას, გულთბილ მაყურებელს.

მეორე დღეს ნანა დავარი გადაცემაში „იმედის დილა“ მიიწვიეს. წამყვანებმა თეატრალური ფესტივალის გარდა, შეკითხვები ისრაელში მოღვაწეობის შესახებაც დაუსვეს მას, როგორც თეატრ „ქნარის“ დამაარსებელს, როგორც ქალაქ აშდოდის ქართული კულტურის ცენტრის ერთ-ერთ მესვეურს, როგორც ჟურნალ „აშდოდელების“ რედკოლეგიის წევრს, როგორც შემოქმედს, ცნობილ პოეტს... გადაცემის ბოლოდ, ქალბატონმა ნანამ წაიკითხა ლექსები მისი მომავალი წიგნიდან „ჰალელი“, რომელიც იმედია, მალე ნახავს დღის სინათლეს.

ნანა შაბათაშვილი-დავარი ,,ობიექტივის“ სტუმარიც გახლდათ — ერთსაათიანი, სპეციალური გადაცემა დაეთმო ქალბატონ ნანასთან ინტერვიუს, სადაც წამყვანმა, ცნობილმა პოეტმა, ვაჟა ოთარაშვილმა საინტერესო დიალოგთან ერთად, მაყურებელს საშუალება მისცა, დამტკბარიყო პოექტის ახალი ლექსების მოსმენით.

თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ნანა შაბათაშვილის ყოველი ჩამოსვლა მისი კლასელების, უბნელების, ჯგუფელების, თანამშრომლების, მეგობრების, ახლობლების დღესასწაულია. ამჯერადაც ასე იყო... ყველანი მის გარშემო ვტრიალებდით, მისი თვალთახედვის არეალში ვიყავით... მაგრამ განსაკუთრებით მაინც ჩვენ გაგვიმართლა, როგორც მის უშუალო მასპინძლებს, ქალბატონ დარეჯან ჩხეტიანთან ერთად. ვინც ნანას იცნობს, მიხვდება — ეს უპირატესობა, რაც ჩვენ გვქონდა, მართლაც დიდი ბედნიერებაა.



მიუხედავად მცირე დროისა, ქალბატონმა ნანამ მეგობრების დახმარებით მაინც მოახერხა დასწრებოდა პრემიერას თავისუფალ თეატრში, რეჟისორ კოტე აბაშიძის სპექტაკლს „ძვირფასი პამელა“; რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში ჰამლეტ გონაშვილის ხსოვნის საღამოს, ხელოვნების მუზეუმში ახალგაზრდა მხატვართა გამოფენას „თბილისი და თბილისელები“... ფეხით მოევლო ბავშვობის ადგილები სოლოლაკში, ასულიყო მთაწმინდაზე, მიეღო უახლოესი ადამიანების მოწვევა ოჯახებში, ქართულ რესტორნებში...

მაგრამ, მთავარი სიხარული მას სწორედ გამგზავრების დღეს ელოდა. თბილისის ებრაულ სათემო სახლში კლუბ „26 საუკუნის“ ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ზაირა დავარაშვილმა ნანა შაბათაშვილ-დავარს ნამდვილი ბენეფისი მოუწყო.

მართალია, ძალიან მცირე დროით, თითქმის სპონტანურად მოხდა ეს შეხვედრა, მაგრამ ისეთი თბილი, ემოციებით დატვირთული, შთამბეჭდავი, კრიალოსანივით ლამაზად აკინძული და შეკრული გამოდგა, რომ სტუმრებსაც და მასპინძლებსაც დიდხანს გვემახსოვრება. თუმცა, სადაც ქალბატონი ზაირა თავისი ჩვეული ენთუზიაზმით, ნიჭით, გამოცდილებით, სიყვარულითა და ენერგიით ერთვება ებრაულ სათემო სახლის ხელმძღვანელობასთან და კვალიფიციურ თანამშრომლებთან ერთად, იქ მხოლოდ აკადემიურობას უნდა ველოდოთ.

ამ საღამოთი გამოწვეული ემოციით პოეტმა ნინო მარსაგიშვილმა ნანა შაბათაშვილ-დავარს ლექსი უძღვნა:

**აშრიალდა აბრეშუმის ფარდად**
**შემოდგომის ჩუმი, ნაზი სევდა...**
**არა-რა მსურს შენი ლექსის გარდა,**
**მათ გავუმხელ, როგორ მინდა შენთან...**
**შეგეთვისე, როგორც სულის ცალი,**
**წმინდა მიწას გადარგულო ვაზო...**
**ისრაელის უკვდავება სცანი,**
**საქართველოც გიხმობს — სადარბაზო...**
**ორ ცას შუა ანთებულო მზეო,**
**გადმოღვრილო სითბოს უშრეტ მადნად...**
**დაგილოცავ მომავალს-სამზეოს,**
**ქართულ სიტყვის ამაგდარო, მანდაც...**
**ჩემო ტკბილო ებრაელო დაო,**
**მღელვარება ველარ დავიოკე...**
**მიწა ჩვენ არ გვქონია სადავო**
**და მარილიც აუწონი ვლოკეთ...**

ეს იყო მართლაც დაუვიწყარი საღამო გულითადი მეგობრების, მომღერლების, საპატიო სტუმრების გულთბილი გამოსვლებით, სიმღერებით, ლექსებით, გულუხვი მასპინძლობით გაჯერებული... ეს უნდა გენახათ, უნდა შეგეგრძნოთ... სიყვარულში, სითბოში და ყვავილების ზღვაში ჩაძირულმა პოეტმა ნანა დავარმა თაიგულები ისევ ხალხს დაუბრუნა, ხოლო სითბოთი და სიყვარულით სავსე გული გამოულეველ საგზლად ისრაელში აიტანა...

ინტერნეტში კი, mis Facebook-ის გვერდზე გაჩნდა უამრავი ფოტო, სამადლობელი წერილი...ქალბატონი ნანა უზომოდ მადლიერია ქართველი ხალხის, „იმედის“, „ობიექტივის“, ებრაული სათემო სახლის. განსაკუთრებით მადლიერებას გამოთქვამს ზაირა დავარაშვილის, ნათელა პატარკაციშვილის, მაყვალა გონაშვილის, ეთერ თოფჩიაშვილი-გიგინეიშვილის, ევა ბაბალაშვილის, ნათელა ისრაელაშვილის, ლელა წიწუაშვილის, ჟუჟუნა წვენიაშვილის, დარეჯან ჩხეტიანის, ჟუჟუნა გაზნელის, ნანა კელაპტრიშვილის, ნათია ქოროღლიშვილის, რუსუდან ყურაშვილის, რეზო ჩხეიძის, რეზო გაჩეჩილაძის, ლაშა ჟვანიას, გივი წიწუაშვილის, გივი ღამბაშიძის, ჯამლეტ ხუხაშვილის, თემურ ტარტარაშვილის, ნუგზარ ერგემლიძის, თემურ ყვითელაშვილის, ჯემალ სეფიაშვილის, ელდარ შოშიტაიშვილის, ვაჟა ოთარაშვილის, კოტე აბაშიძის, ფრიდონ მოწაფიას, ვაჟა დურგლიშვილის, თემურ დანელიას, ვასიკო სპანდერაშვილისა და სხვების მიმართ. მადლიერია ყველა იმ ადამიანის, ვინც დაამშვენა და გაალამაზა მისი საქართველოში ყოფნის ერთი „დიდი კვირა“.

*ლეილა ნოდია*
*გუბაზ მეგრელიძე*

## ვერსიანიუსი

# „ებრაელი ხალხის მიერ დანთებული სანთელი სიკეთის, რწმენის, ბედნიერების მომტანია“



**„დღეს ჩვენი ქვეყნის ებრაელი მოქალაქეები, მთელ ებრაულ სამყაროსთან ერთად, ხანუქას — კურთხევისა და განახლების ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავენ. სულითა და გულით ვულოცავ ამ შესანიშნავ დღეს და ვუერთდები მათ ზეიმს. ქართველთა და ებრაელთა მეგობრობა ათასწლეულებით იზომება და ხალხთა შორის ძმობის უპრეცედენტო მაგალითს წარმოადგენს. ქართველი ებრაელები დაუღალავად იღვწიან ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და სახელმწიფოს აღმშენებლობისთვის და ამით საკუთარი ხალხის სიდიადეს განამტკიცებენ. მშვიდობას, კეთილდღეობასა და ბედნიერებას ვუსურვებ ჩვენ ებრაელ თანამემამულეებსა და მათ ოჯახებს“,** — საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ებრაელ ხალხს ხანუქის დღესასწაული ამგვარად მიულოცა.

სინაგოგაში კი, ხანუქის აღსანიშნად, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე, სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი, ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი მივიდნენ.

**„ეს უძველესი დღესასწაული სიმბოლოა ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებისა, სამართლიანობის უსამართლობაზე გამარჯვების, ებრაელი ხალხის მიერ დანთებული სანთელი სიკეთის, რწმენის, ბედნიერების მომტანია. ვისურვებ, ამ სანთელს ჩვენს ხალხს შორის სიკეთე მოეტანოს. ებრაელი ხალხი გამორჩეულია ნიჭით, შრომისმოყვარეობით, მოთმინების უნარით — ის სამაგალითოა მთელი მსოფლიოსთვის. მათ დაამტკიცეს, როგორ შეიძლება, მცირე ერმა ამხელა განსაცდელს გაუძლოს და ბრძოლიდან გამოვიდეს გამარჯვებული. სწორედ ამიტომაა ის სამაგალითო. მათი თითოეული ბრძოლა აღვსილია რწმენითა და პატრიოტიზმით“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ქართველ და ებრაელ ხალხს მეგობრობის 26-საუკუნოვანი ისტორია აქვს, რომელსაც ვერავინ დაარღვევს, — **„ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს და ებრაელი ხალხისგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. კიდევ ერთხელ, გულით მოგილოცავთ ამ დღესასწაულს, კეთილდღეობასა და წარმატებას გისურვებთ“.**

ებრაელებმა ღარიბაშვილს მადლობის ნიშნად საჩუქრად შანდალი გადასცეს.

საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა კი სიმღერები შეასრულეს.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს იუვალ ფუქსმა და მთავარმა რავინმა ავიშაი ბათაშვილმა.

ებრაელები ხანუქის დღესასწაულს ყოველ წელს, 8 დღის განმავლობაში ზეიმობენ. ეს ის დღეა, როცა ყოველ წელს ინთება სანთელი ნიშნად სიბნელეზე გამარჯვებისა.

*„ვერსიანიუსი“*

# „დამიჯერეთ, ამ კანონს მალე მივიღებთ, თუ არა, გჯეროდეთ გაჩეჩილაძის!“

## მიზეზი, რის გამოც „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ კანონის მიღება გაჭიანურდა



ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„ვერსია“ უკვე წერდა, რომ „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ კანონის“ მიღება დროში გაჭიანურდა. ჩვენთან ინტერვიუში, „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი **გიორგი გაჩეჩილაძე** ლამის 1 წლის წინ გამზადებული კანონპროექტის პარლამენტში არშეტანის მიზეზების დადგენასაც ცდილობდა. გაჩეჩილაძემ ეს საკითხი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კიდევ ერთხელ დააყენა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს კატეგორიულად მოსთხოვა, დროზე შეიტანონ კანონპროექტი საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად. **„სამწუხაროდ, ვერ დავადგით თავი, მივიღოთ კანონი „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“, რომელიც კრძალავს საქართველოს ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობაში გენმოდიფიცირებული თესლისა და ნერგების გამოყენებას და ავალდებულებს ეტიკეტირებას იმპორტულ საქონელს. ეს აუცილებელია, რათა მოსახლეობამ აირჩიოს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო საკვები. გამზადებული კანონპროექტი შემოდებულია თაროზე. ეს წარმოუდგენელი და აუხსნელია, რადგან მის მიღებას გვავალდებულებს 4 დოკუმენტი: 1. კარტახენას ბიოუსაფრთხოების გაერო-ს ოქმი, რომელიც რატიფიცირებულია 2008 წელს. იგი გვავალდებულებს, ბიომრავალფეროვნება და მოსახლეობის ჯანმრთელობა შევინარჩუნოთ გმ პროდუქციისგან დაცვით; 2. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2010 წლის ბრძანება, ეტიკეტირების ახალ წესებთან დაკავშირებით — მოთხოვნაა, ეტიკეტზე დაეწეროს, არის თუ არა პროდუქტი გენმოდიფიცირებული; 3. 2012 წელს მივიღეთ კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, სადაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის თავში წერია, რომ აიკრძალება გმ თესლისა და სანერგე მასალების იმპორტი, შემოწმდება გმ პროდუქტის მარკირების წესები; 4. 2013 წელს, 30 ივლისს, საქართველოს მთავრობამ მიიღო გენიალური დადგენილება ბიოწარმოების შესახებ, სადაც წერია, რომ ბიოწარმოება ანუ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება გამორიცხავს გმო-ს გამოყენებას და ზოგადად, გენმოდიფიცირებას. ამ ფონზე, არ მესმის, რატომ არ ვიღებთ კანონს. წინა მთავრობა იმპორტზე იყო ორიენტირებული, გახსნილი ჰქონდა საზღვარი და წამლავდა მოსახლეობას. ჩვენ რას ვაკეთებთ? კატეგორიულად მოვითხოვ გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებისგან, სასწრაფოდ შემოიტანონ კანონპროექტი“.**

იმის გასარკვევად, რატომ გაიწელა კანონპროექტის განხილვა-დამტკიცების პროცესი და რატომ არ შევიდა იგი აქამდე პარლამენტში, „ვერსია“ პარლამენტის, გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, **გია ცაგარეიშვილს** დაუკავშირდა:

— სამწუხაროა, რომ გადაუმოწმებელ ინფორმაციას ავრცელებენ. ამ ადამიანს მრავალჯერ განუმარტეს, რომ კანონპროექტი მზადაა, ჩამოყალიბებულია, მასში შეტანილია უამრავი შენიშვნა, 4-ჯერ მოეწყო მისი საჯარო განხილვა გარემოს დაცვის სამინისტროში და ბატონი გია რომ დაინტერესებულიყო, შეეძლო, დასწრებოდა მას. კანონპროექტი აიტვირთა სამთავრობო შიდაელექტრონულ ქსელში, სხვადასხვა სტრუქტურებმა გამოთქვეს შენიშვნები, რომელთა ნაწილი გავიზიარეთ. 27 ნოემბერს ვესაუბრე გარემოს დაცვის მინისტრს, რომელმაც ბრძანა, რომ სავარაუდოდ, მთავრობის უახლოეს სხდომაზე განიხილავენ კანონპროექტს და შემოიტანენ პარლამენტში განსახილველად. თითქმის დარწმუნებული ვარ, ამ საკმაოდ მნიშვნელობანი კანონპროექტის შემოტანას წლის ბოლომდე მოვასწრებთ, ასე რომ, ღია კარის მტვრევა რაში სჭირდება ბატონ გია გაჩეჩილაძეს, არ მესმის. მან იცის, რომ კანონპროექტი მზადაა და გარწმუნებთ, მე უფრო მეჩქარება მისი მიღება, ვიდრე გაჩეჩილაძეს.

**— კანონპროექტი მზად რომაა, ამას არც გაჩეჩილაძე უარყოფს. მეტიც, სწორედ ამიტომ ვერ გაუგია, დროში რატომ გაიწელა პარლამენტში მისი შეტანა.**

— ეტყობა, მისი სტილია, არ დააზუსტოს ინფორმაცია და ისე გააკეთოს მჭექარე განცხადება სხდომათა დარბაზში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი კანონპროექტია, რომელიც ეხება ბევრ სტრუქტურას, ამიტომ მან გაიარა ყველა საფეხური. ეს ბატონ გაჩეჩილაძეს რამდენჯერმე განუმარტეს — პირველ რიგში კი, ეხება საბაჟო და საგადასახადო ორგანოებს. თუ ბატონ გიას ჰგონია, რომ ამ ორგანოებში გასავლელი პროცედურების გადაწყვეტა და შეცვლა შეიძლება ერთი ხელის მოსმით, ვარწმუნებ, ასე არ არის. თუ გინდათ, ჩემი სიტყვები დაიჯერეთ, თუ არა და, გჯეროდეთ ბატონი გაჩეჩილაძის.

**— გიორგი გაჩეჩილაძე თქვენი კომიტეტის წევრია. კი მაგრამ, კომიტეტში ერთმანეთთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის გაცვლის პრობლემა გაქვთ?**

— უკაცრავად, ურთიერთობის პრობლემა არავისთან მაქვს და თუ ვინმეს აქვს, მისი პრობლემაა. ისე, კანონპროექტი იმდენხანს უნდა განიხილებოდეს მთავრობაში, რამდენიც საჭიროა. ყველა ხარვეზი უნდა გასწორდეს. არის კანონპროექტი, რომლის მიღება მარტივია და პირიქით, ზოგი კანონპროექტის მიღებაა რთული. ეს კანონპროექტი მეორე კატეგორიას მიეკუთვნება. უკვე დასრულებულია მასზე მუშაობა და ვნებათაღელვა, ნამდვილად არ იყო საჭირო. კანონპროექტი შეტანილია მთავრობაში, მისი განხილვა კი იმიტომ გადაიდო, რომ მომხსენებელი ვინც უნდა იყოს — ვახტანგ მჭედლიშვილი, მინისტრის მოადგილე, საპარლამენტო მდივანი, ჩემი ინფორმაციით, 28 ნოემბერს ხელახლა დაინიშნა თანამდებობაზე. როგორც კი ფორმალური მხარე მოგვარდება, პრემიერი წარადგენს მას, როგორც ამ კანონპროექტის მომხსენებელს და მას მთავრობის სხდომაზე განიხილავენ, შემდეგ კი შემოიტანენ პარლამენტში. სავარაუდოდ, ეს მოხდება მომავალი კვირის პირველივე მთავრობის სხდომაზე — ეს თქვენი და ბატონი გაჩეჩილაძის გასაგონად, რომელიც ჩემდა გასაკვირად, ინფორმაციას არ ამოწმებს, ისე გაძლევთ ინტერვიუს. კანონპროექტზე რატომ მუშაობთ დიდხანსო, ეს რა სასაყვედუროა? მახსოვს, როგორ მუშაობდა ნაცმოძრაობა — 500-გვერდიან კანონპროექტებს საათებში წერდნენ და ხელების გრეხით მიაღებინებდნენ ოპოზიციას. ეს არ მოხდება ამ მოწვევის პარლამენტში — ჩვენ განსხვავებული მიდგომა გვაქვს. პატარა კანონპროექტი იყო საშიში ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით, მაგრამ 4 თვე ვიხილავდით. 6 კომიტეტის 6 სხდომა მივუძღვენი მას და შემოტანილი გადასაზიდი 8 სახეობის ტვირთიდან მხოლოდ 1 დარჩა. ნაუცბათევად და ერთი ხელის მოსმით არ იწერება კანონპროექტები, ეს ბატონმა გაჩეჩილაძემ უნდა გაიგოს!

**— ეს კანონპროექტი რამდენიმე წელია იწერება, ბატონო გია და მისი დამტკიცება აქამდე რატომ ვერ მოხერხდა?**

— დიახ, 2005 წლიდან მუშავდება და 9 წელი ვერ მიიღო იგი პარლამენტმა. ეს ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ ბევრ სტრუქტურას ეხება საკითხი, იმპორტიორები არაფერ შუაშია — ბევრი დეტალი იყო განსახილველი. ყველა სტრუქტურას თავის აზრი და შენიშვნა ჰქონდა... ყველაფერი ხომ უნდა ავწონ-დავწონოთ, რათა ნაციონალებივით არ მოვიქცეთ. სანამ ვარ კომიტეტის თავმჯდომარე, აქ ბალაგანი ვერ იქნება და ვიღაცის დაკრულზე ვერ ვიცეკვებ. განხილვის გარეშე, ვიღაცის საამებლად, ტაშის გრიალით ვერ მივიღებთ კანონებს, თუნდაც იგი მთავრობის წარდგენილი იყოს. საკანონმდებლო პროცესი ურთულესია, არსებობს მომიჯნავე პრობლემები, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ.

**— ამ კანონპროექტთან დაკავშირებით რა „მომიჯნავე პრობლემები“ წარმოიშვა?**

— ეს ძალიან ძვირი კანონპროექტია საქართველოსნაირი ღარიბი ქვეყნისთვის. მიუხედავად ამისა, მაინც მივიღებთ. უმთავრესი პრობლემა, რაც ეკონომიკის სამინისტროს ჰქონდა ისაა, რომ აკრძალვების შემოღებამდე ხდება ქვეყანაში გმ თესლების ინტროდუქცია (რაიმე მცენარის შეტანა განაყოფიერება ისეთ მხარეში, სადაც მისთვის უჩვეულო კლიმატური პირობებია) — გვინდა, ეს ავკრძალოთ. ეკონომიკის სამინისტრომ გარკვეული ეკონომიკური მოსაზრებები წამოჭრა. ჩვენი მოსახლეობის 50%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარსმიღმა ცხოვრობს და ამ ფონზე, აუცილებელია, ისეთი ზომები არ მივიღოთ, რაც უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს მოსახლეობას და მეორეს მხრივ, შეურყევს ჯანმრთელობას. ოქროს შუალედის მოძებნა გვინდოდა, რაღაც საკითხებზე სამინისტროს ვერ დავეთანხმეთ, რაღაც მოსაზრებები გავიზიარეთ. ეს ყველაფერი თავმოყრილია კანონპროექტში.

**— უცვლელია კანონპროექტის მთავარი არსი, რომ ქვეყანაში გმ თესლისა და ნერგების შემოტანა აიკრძალოს და გმ პროდუქტების მარკირება მოხდეს?**

— დამღის დასმა არ არის ამ კანონპროექტის რეგულირების სფერო. როგორც კი კანონი ძალაში შევა, საქართველო გამოცხადდება ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისთვის დახურულ ზონად. თუ ვინმე დააპირებს მათ შემოტანას, საბაჟოზე დახვდება შესაბამისი წინაღობა — ანუ სრულ კონტროლს დაექვემდებარება გმო-ს გავრცელება საქართველოში — შემოტანა აიკრძალება, ცოცხალი გმ ორგანიზმების მიმართულებით აქ მუშაობა კი უმკაცრეს კონტროლს დაექვემდებარება. ამ კონტროლს გარემოს დაცვის სამინისტრო განახორციელებს. ამ კანონპროექტით არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა დაინტერესებული. გავაცანით საელჩოებსაც, გვინდა ბევრი, მათ შორის სამართლებრივი სახის პრობლემა ავირიდოთ, მით უმეტეს, არსებობს სამწუხარო პრეცედენტი — ევროკავშირს ამგვარი პროდუქციის რამდენიმე მსხვილმა მწარმოებელმა უჩივლა საარბიტრაჟო სასამართლოში და დავები დღესაც გრძელდება. ბევრი საჩოთირო დეტალი იყო, რომელიც გვინდა გავიზიაროთ, რათა მსგავსი პრობლემების წინაშე არ აღმოვჩნდეთ, თორემ მერე ხმამაღალი განცხადებები აღარ გვიშველის. ასე რომ, მთლად ტრაგიკულად არაა საქმე. ეს კანონპროექტი ყველა შემთხვევაში მისაღებია, იმიტომ კი არა, რომ ეს ცაგარეიშვილსა და გაჩეჩილაძეს უნდა — ეს ვალდებულებაა საკუთარი მოსახლეობის წინაშე, რადგან ადამიანებმა უნდა იცოდნენ, როგორ და რით იკვებებიან.



## როგორ ამოვიცნოთ ბაზარში გენმოდიფიცირებული კარტოფილი?

**იმის დადგენას, არის თუ არა პროდუქტი გენმოდიფიცირებული, ლაბორატორიული კვლევა სჭირდება. მიუხედავად ამისა, მეცნიერები ხშირად გარკვეულ ხრიკებს მიმართავენ, რათა გმ საკვები ბიოპროდუქტისგან განასხვაონ. ვიდრე საქართველოს პარლამენტი შესაბამის კანონს მიიღებს, ვიდრე ქვეყანაში პროდუქტების ლაბორატორიული კვლევა ჩატარდება და ვიდრე ბაზარზე არსებულ ყველა პროდუქტს დაეწერება, არის თუ არა გენმოდიფიცირებული ან შეიცავს თუ არა გმო-ს, „ვერსია“ ყველა ნომერში რჩევებს შემოგთავაზებთ, რათა მეტი ალბათობით, ბაზარში არაგენმოდიფიცირებული, შხამქიმიკატებისგან გაუჟღენთავი პროდუქტი შეიძინოთ.**

**კარტოფილი** პოპულარული ბოსტნეულია. მისი შეძენა შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს. ჯიშებს შორის მთავარი განსხვავება სახამებლის შემცველობაა. რაც უფრო ყვითელია ტუბერი (რბილობი), მით მეტია მასში სახამებელი. შესაწვავად უკეთესია ნაკლებად სახამებლიანი, მოსახარშად — პირიქით.

კარტოფილის არჩევის დროს ყურადღება მიაქციეთ მის ვიზუალურ მხარეს. ზედაპირი უნდა იყოს თანაბრად გლუვი, ბზარების, ლაქების, წარმონაქმნებისა და სხვა დეფექტების გარეშე. უნდა იყიდოთ სუფთა კარტოფილი, შეფერილობა უნდა იყოს თანაბარი, მკვეთრი მუქიდან ღია შეფერილობისკენ გარდამავალი ფერის გარეშე. არ უნდა იყოს მწვანე ფერის — ეს მიანიშნებს ტოქსიკური ნივთიერებების სოლონინის არსებობას. კარტოფილი აუცილებლად უნდა იყოს მყარი და ელასტიური. ხელის დაჭერისას უნდა იგრძნობოდეს მცირეოდენი ხრაშუნი. თუ შეიმჩნევა სირბილე და ტენიანობა, სავარაუდოდ მოყვანილია სასუქით. ნუ გამოედევნებით მის დიდ ზომებს — ასეთი პროდუქტი ნაკლებად შეიცავს საკვებ ნივთიერებებს და ბადებს მისი სასუქებით მოყვანის ეჭვს. საკმაოდ ხშირია კარტოფილის ტუბერების დაავადება, რომლებსაც შეუიარაღებელი თვალითაც გაარჩევთ. ქერქის ქვედა ქსოვილი თანდათან მურა ფერს იღებს, უსიამოვნო სუნი აქვს და ალპობს ტუბერებს. მუქი და მწვანე ლაქიანობა, მურა სიდამპლე, კარტოფილის კიბო — კორძისებრი წარმონაქმნი, ხვრელები — ეს გაფუჭების ნიშნებია. გაჭერით თუნდაც ერთი ცალი და დააკვირდით, რომ შიგთავსში არ იყოს სიცარიელე, არ უნდა იყოს დაზიანებული, ყავისფერი ან შავი, არასწორი ფორმის და მკვეთრად გამოხატული საზღვრების მქონე ლაქებით. კარტოფილის ზოგი ჯიშისთვის დამახასიათებელია ჩვეულებრივზე მეტი სიყვითლე, რაც შესაძლებელია იყოს ნიტრატების გამოყენების მანიშნებელი.

ძალიან პოპულარულია **ახალი კარტოფილი** (მცირედ მოუმწიფებელი). ის ჩამორჩება ვიტამინების რაოდენობით, მაგრამ ნაკლებ სახამებელს შეიცავს და გამოირჩევა საუკეთესო გემოვნური თვისებებით. ხანგრძლივი შენახვისთვის გამოუსადეგარია. შემოსული კარტოფილს სქელი ქერქი, ზედაპირი გლუვი და რბილი აქვს. მიწის ზედა ნაწილის კვდომა ბოსტნეულის სრული მომწიფების მაჩვენებელია. მოუმწიფებელს კი თხელი და აქერცლილი კანი აქვს. ფრთხილად შეარჩიეთ ბოსტნეული ზამთარში. თუ კარტოფილი სველია, შესაძლოა იყოს მოყინული.

კარტოფილის შენახვის ვადა დამოკიდებულია მის ჯიშსა და ხარისხზე. აარჩიეთ სქელი კანით, საღი ბოსტნეული. ტუბერები გააშრეთ, მოაშოროთ მიწის ნარჩენები, მაგრამ არ გარეცხოთ. უმჯობესია, შეინახოთ ყუთებში, არაუმეტეს 1 მეტრის სიმაღლის გროვებად, სარდაფში, აივანზე ან განჯინაში. მაცივარში სასურველია შეინახოთ პაკეტით. სახლის პირობებში, კარტოფილი ინახება 3 თვემდე. ოპტიმალურ პირობებში კი (+2-+4C$^{0}$, ტენიანობა — 85%) შენახვის ვადა 9 თვემდე იზრდება.



# ჰოროსკოპი
## 29 ნოემბერი

***ვერძი*** — ადვილად შეძლებთ მცირე შეცდომების დამალვას, მთავარია ნებისმიერ ვითარებაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ. ფინანსური დანაკარგი გელით, თუმცა ახლობელი ადამიანების თანადგომით, ამ პრობლემას ადვილად მოაგვარებთ.

***კურო*** — გაგიჭირდებათ, თავი აარიდოთ ცდუნებას, რომელიც სერიოზულ ცვლილებებთან იქნება დაკავშირებული. ეცადეთ არ მოექცეთ გარშემომყოფთა ნეგატიურ გავლენის ქვეშ და ნაკლები იწუწუნოთ საკუთარ ბედზე.

***ტყუპები*** — შესაძლოა ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ცხოვრებაში მატერიალურის გარდა, სხვა ღირებულებებიც არსებობს — მეტი ყურადღება გამოიჩინეთ მათ მიმართ, ვინც გიყვართ.

***კირჩხიბი*** — ფინანსური დანაკარგი გელით, ოჯახში დაძაბული ატმოსფერო იძულებულს გაგხდით, საღამო მეგობრების წრეში გაატაროთ. შესაფერისი დროა ახალი ნაცნობობისა და საქმიანი კონტრაქტების გაფორმებისთვის.

***ლომი*** — დღე მაღალი აქტივობით გამოირჩევა. სამუშაო და ვალდებულება ახლობლების წინაშე ერთგვარ დისკომფორტს გიქმნით, მაგრამ ჯერჯერობით არაფრის შეცვლა არ შეგიძლიათ და არც ხართ მზად რადიკალური ცვლილებებისთვის.

***ქალწული*** — კარგი დღეა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაოსთვის. სასიამოვნო იქნება ურთიერთობა ოჯახის უფროს წევრებთან, მეგობრებთან. ფინანსურ საკითხებში მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ და სასურველ შედეგს აუცილებლად მიაღწევთ.

***სასწორი*** — ყურადღების ცენტრში მოექცევით, რაც გაღიზიანებთ, მაგრამ თქვენი მომავალი იმაზეა დამოკიდებული რამდენად შეძლებთ ამა თუ იმ ვითარებაში ლავირებას.

***ღრიანკალი*** — დაუგეგმავი ხარჯი გელით, არ არის გამორიცხული, უსიამოვნო ვითარებაში აღმოჩნდეთ — ენდეთ ინტუიციას და წარმატება თქვენი თანმდევი იქნება. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ვარსკვლავები გირჩევენ, ამ საკითხში მეტი მოთმინება გამოიჩინოთ.

***მშვილდოსანი*** — ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, ბევრი პრობლემა შეგექმნებათ, მათ შორის საყვარელ ადამიანთან. არის დაშორების რისკი და ამიტომ აჯობებს, განმარტოვდეთ და მოსალოდნელი უსიამოვნებები ასე აიცილოთ თავიდან.

***თხის რქა*** — დღე საუკეთესოა საქმიანი მოლაპარაკებისა და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გარკვევისთვის. მხოლოდ ნუ იქნებით ზედმეტად ხისტი და გაითვალისწინეთ, რომ გარკვეული კომპრომისი ამა თუ იმ ვითარებაში აუცილებელია.

***მერწყული*** — დიდი ხნის დაწყებულ საქმეს დაასრულებთ, რაც თქვენს ცხოვრებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. დღეს განვითარებული მოვლენები ბევრ რამეზე დაგაფიქრებთ. დღე წარმატებულია ფინანსების მხრივ.

***თევზები*** — დღე კოლეგებთან, მშობლებსა და ნათესავებთან ურთიერთობაში პრობლემებს გპირდებათ. ეცადეთ უფრო სერიოზული და შრომისმოყვარე იყოთ, საღამო კი მეგობრების წრეში გაატაროთ და არსებული პრობლემები ცოტა ხნით მაინც დაივიწყოთ.

# დუბაიში ოქროს ფეხსაცმელს ყიდიან



24-კარატიანი ოქროსგან დამზადებული ფეხსაცმელი, რომლის ავტორიც ცნობილი იტალიელი დიზაინერი ალბერტო მორეტია, შემოდგომიდან გაიყიდვაშია დუბაის Level Shoe District ბუტიკში. ყველასთვის ცნობილია, რომ ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი სპარსეთის ყურის ქვეყნებში შეძლებული კლიენტები დიდ ყურადღებას უთმობენ ლუქსის კლასის პროდუქციას — იქნება ეს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი თუ სამკაული... ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ოქროს ფეხსაცმელი პირველად სწორედ დუბაიში გამოჩნდა. „მოოქროვილი მოკასინები" მთლიანად ხელითაა ნაკეთი, ფეხსაცმლის საფუძვლად ხავერდია გამოყენებული, რომელზეც ოქროა დაფრქვეული. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში სულ რამდენიმე ოსტატია, რომელთაც მსგავსი სამუშაოს შესრულება შეუძლიათ, ფეხსაცმლის ღირებულება კი 4-4,8 ათასი დოლარია.


**Appraisal.llc**

შპს „აპრაისალი" გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com




# ჰოროსკოპი
## 30 ნოემბერი

***ვერძი*** — ზედმეტი იმპულსურობა ნაჩქარევ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ, რაც პრობლემებს შეგიქმნით როგორც სამსახურში, ასევე ახლობლებთან ურთიერთობაში. კარგი იქნება სხვის რჩევებს ხანდახან მაინც თუ გაითვალისწინებთ.

***კურო*** — მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ მცირე ნიუანსებს, რის გამოც გარშემომყოფებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ეცადეთ ნაკლებად კრიტიკული იყოთ — ასე ცხოვრება უფრო გაგიადვილდებათ.

***ტყუპები*** — შეგიძლიათ თამამად დააბანდოთ თანხა ბიზნესში. იყავით გაბედული და ნურც ინიციატივის გამოჩენისგან შეიკავებთ თავს. განიხილეთ უფროსობასთან საქმიანი წინადადებები და ეცადეთ ბოლომდე დაიცვათ საკუთარი აზრი.

***კირჩხიბი*** — შესაფერისი დროა გეგმების რეალიზებისთვის. ეცადეთ ზედმეტად არ გაჯიუტდეთ, რადგან ამით მხოლოდ თავად დაზარალდებით. გამოიჩინეთ თავშეკავება და აუცილებლად მოგეცემათ საშუალება, ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოთ.

***ლომი*** — სიბრძნე და გამძლეობა გმართებთ — სხვაგვარად არსებულ პრობლემებს ვერ გაუმკლავდებით. შესაფერისი პერიოდია ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად — საქმიანი წინადადება, რომელსაც ბიზნესპარტნიორებისგან მიიღებთ, საკმაოდ პერსპექტიული აღმოჩნდება.

***ქალწული*** — შესაძლოა ისეთ ვითარებაში აღმოჩნდეთ, რაც ტაქტსა და მოთმინებას საჭიროებს. სასიყვარულო პაემანი, სჯობს, გადადოთ, რადგან მხოლოდ ასე შეძლებთ უსიამოვნო საუბრის თავიდან აცილებას.

***სასწორი*** — გააცნობიერებთ, რომ რუტინა ძალიან მოგბეზრდათ და გარკვეული ცვლილებებია აუცილებელი, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ჯერ ამისთვის მზად არ ხართ. ნუ დააჩქარებთ მოვლენებს და ვითარების ადეკვატურად იმოქმედეთ.

***ღრიანკალი*** — მოსალოდნელია ცვლილებები სამსახურში. არ არის გამორიცხული, ხელმძღვანელობამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა. მატერიალურ სიძნელეებსაც წააწყდებით, თუმცა მოსალოდნელი შეხვედრა გავლენიან ადამიანებთან, ყველა პრობლემას მოხსნის.

***მშვილდოსანი*** — დღეს განსაკუთრებით მობილიზებული და ყურადღებიანი უნდა იყოთ, რათა კარგად შეასრულოთ საპასუხისმგებლო სამუშაო, რაზეც თქვენი კარიერაა დამოკიდებული. ხანმოკლე სამსახურებრივი კი რომანი უფროსობის მხრიდან გულისწყრომას გამოიწვევს.

***თხის რქა*** — ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ დღე სავარაუდოდ, კონფლიქტით დაიწყება — თავისმართლება არ გიშველით, რადგან დიდწილად, დამნაშავე თავად იქნებით. გაითვალისწინეთ ახლობლების რჩევები და ეცადეთ მეტად თავშეკავებული იყოთ.

***მერწყული*** — შეგიძლიათ ოსტატურად ისარგებლოთ ვითარებით და საქმეში წარმატების მისაღწევად, უკან არაფრის წინაშე არ დაიხიოთ. ცვლილებები გელით პირად ცხოვრებაშიც — მთავარია, არ მიიღოთ ნაჩქარევი გადაწყვეტილება.

***თევზები*** — ფრთხილად იყავით — ბევრი ისეთი ადამიანი ტრიალებს თქვენს ირგვლივ, რომელიც მზადაა, ნებისმიერ დროს გიმტროთ. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მოაგვარეთ, საღამოს კი დრო მეგობრების წრეში გართობას დაუთმეთ.





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | 8 | | | | | |
| | | | | | 1 | | 7 | |
| 6 | | | 9 | | 3 | | 1 | |
| 7 | 4 | 6 | | 3 | | | | 5 |
| 3 | 5 | | | | | | 4 | 9 |
| 9 | | | | 4 | | 6 | 3 | 2 |
| | 3 | | 6 | | 2 | | | 7 |
| | 9 | | 3 | | | | | |
| | | | | | 7 | 4 | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 6 | | | |
| | | 7 | 2 | | | | 5 | |
| | 3 | 4 | | 8 | 5 | 1 | | |
| 4 | | 9 | | | | | 7 | |
| 1 | | | | 6 | | | | 2 |
| | 5 | | | | | 4 | | 6 |
| | | 8 | 6 | 2 | | 9 | 4 | |
| | 1 | | | | 9 | 7 | | |
| | | | 3 | | | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | 8 | | | | 4 | |
| 8 | | | 6 | 4 | | | | 9 |
| 1 | | | | | | | 8 | |
| 5 | | | | | 6 | | | |
| | 1 | | 4 | 9 | 8 | | 3 | |
| | | | 2 | | | | | 6 |
| | 8 | | | | | | | 1 |
| 9 | | | | 8 | 1 | | | 3 |
| | 4 | | | | 2 | | 9 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 3 | | 7 | 6 | | |
| 7 | | | | 9 | | 3 | 8 | |
| | 2 | | | 5 | | | | 4 |
| | | | | | 8 | | 9 | 7 |
| | | 2 | | | | 4 | | |
| 8 | 4 | | 9 | | | | | |
| 2 | | | | 6 | | | 1 | |
| | 9 | 3 | | 1 | | | | 6 |
| | | 7 | 2 | | 3 | | | |



# ჰოროსკოპი
## 1 დეკემბერი

***ვერძი*** — შეუპოვრობა დასახული მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ — დროა გააცნობიეროთ, რომ დამოუკიდებლობა ტვირთი არ არის და გადაწყვეტილებების მიღებისას ყველას აზრის გათვალისწინება საჭირო არაა.

***კურო*** — თავგამოდებით ცდილობთ აკრძალვების დარღვევას და ამიტომ პრობლემებისთვისაც მზად იყავით. მოსალოდნელი საქმიანი შეხვედრა კარგად ჩაივლის, თუ თქვენს პოზიციასა და გეგმებს პარტნიორებს სათანადოდ ჩამოუყალიბებთ.

***ტყუპები*** — მთელი ძალისხმევა ერთ, კონკრეტულ საქმეს მოახმარეთ და შედეგით საკმაოდ კმაყოფილი დარჩებით. თქვენი ხასიათის ცვალებადობა გარშემომყოფებს აღიზიანებს, ამიტომ ეცადეთ, ეგოიზმი ცოტა ხნით მაინც დაივიწყოთ.

***კირჩხიბი*** — საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულებმა, შესაძლოა. რეკორდული რაოდენობის სისულელე ჩაიდინოთ. ყური უგდეთ გარშემომყოფების რჩევებს — ისინი არც ისე გამოუსადეგარი აღმოჩნდება, როგორც გგონიათ.

***ლომი*** — შექმნილი ვითარება ცოტას დაგაბნევთ — გაგიჭირდებათ გარკვევა, რას უნდა მიაქციოთ ყურადღება და რას არა. თქვენი მიზანდასახულობა დაგეხმარებათ დასახული მიზნის მიღწევაში — მთავარია სწორად განსაზღვროთ საქმიანი პარტნიორები.

***ქალწული*** — ყველა მეთოდით მოგიწევთ ბრძოლა საკუთარი ინტერესების დასაცავად. არავითარ შემთხვევაში არ დაიხიოთ უკან, რადგან დადგა დრო, როცა სხვები უნდა წავიდნენ კომპრომისზე.

***სასწორი*** — დაძაბულ ვითარებაში აღმოჩნდებით. თუ პრობლემის მოგვარება დიპლომატიით ვერ შეძელით, რადგან თქვენი მოსმენა არ სურთ, მაშინ რადიკალური ნაბიჯების გადადგმა მოგიწევთ — თავს უკან დახევის უფლება არ უნდა მისცეთ.

***მორიელი*** — ვარსკვლავები გირჩევენ, ტემპი შეანელოთ და ამოისუნთქოთ — ეს გონებას გაგინათებთ და ისიც გაგახსენდებათ, რისთვის იღვწით ასე გამალებით.

***მშვილდოსანი*** — თავს განტვირთვის უფლება მიეცით — ეს დაგეხმარებათ დასახოთ გეგმები და კარგად გააანალიზოთ სამომავლო ნაბიჯები — სხვაგვარად წარმატების შანსი ნულამდე დავა.

***თხის რქა*** — მოგეცემათ შესაძლებლობა, გუშინდელი მტრები, მოკავშირეებად აქციოთ. მხოლოდ ამის რეალიზება ადვილი არ იქნება. ვითარებაში ლავირების უნარის წყალობით, ბევრი პრობლემის მოგვარებას შეძლებთ.

***მერწყული*** — არსებული წინააღმდეგობის დაძლევას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებთ, თუ მოვლენებს იუმორით შეხედავთ და ყველაფერს ზედმეტად არ გაასერიოზულებთ. ხოლო ფინანსური საკითხების მოგვარებისგან დღეს აჯობებს თავი შეიკავოთ.

***თევზები*** — თქვენი უხასიათობა გარშემომყოფებისთვის დამთრგუნველია. გაითვალისწინეთ, რომ ანგარიში სხვებსაც უნდა გაუწიოთ, სხვაგვარად ცხოვრება გაგიჭირდებათ.

# ევროპის ყველაზე კულტურული ერი



ექსპერტებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის მიზანიც ყველაზე კულტურული ევროპული ერის გამოვლენა იყო. ალბათ არავის გაუკვირდება, რომ ეს საპატიო ტიტული ბრიტანელებმა დაიმსახურეს. სტატისტიკის მიხედვით გაირკვა, რომ ისინი ფრანგებზე ხშირად დადიან გამოფენებზე და იტალიელებზე ხშირად უსმენენ ოპერას, სულ მცირე, 40% იყო წელს თეატრში, წიგნის კითხვა კი აქაური მოსახლეობის 80%-სთვისაა ჰობი. გამოკითხვის მიხედვით ისიც გაირკვა, რომ დიდი ბრიტანეთის მაცხოვრებლები უფრო ნაკითხები არიან და მშვენივრად იციან საკუთარი ქვეყნის ისტორია, მოსახლეობის თითქმის ორ მესამედს ნანახი აქვს ისტორიული ადგილები, 52% კი რეგულარულად სტუმრობს ხელოვნების გალერეებს, თუმცა მკვლევარები დასძენენ, რომ ბოლო წლების მაჩვენებლის მიხედვით, ნისლიან ალბიონზე ხელოვნებისადმი ინტერესმა იკლო, რაც ალბათ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ევროზონაში არსებულ კრიზისს უკავშირდება.

# გზას პიჯაკით გაიგნებთ



სიდნეიში არსებულმა კომპანიამ, რომელიც ტანსაცმელს მაღალი მოდისა და უახლესი ტექნოლოგიების შერწყმით აწარმოებს, უნიკალური ნავიგაციური პიჯაკი შექმნა, რომელიც პატრონს გზის აბნევის უფლებას არ მისცემს. საქმე ის გახლავთ, რომ ამ უჩვეულო პიჯაკის სახელოები GPS-მოდულითაა აღჭურვილი, სპეციალური პროგრამის მეშვეობით, მომხმარებელს სმარტფონზე სასურველი ადგილი შეჰყავს, შემდეგ კი სახელო თავად მიანიშნებს მოძრაობის ტრაექტორიას — მარჯვენა ან მარცხენა სახელოში ვიბრირების მეშვეობით, იმისდა მიხედვით, საით მდებარეობს საჭირო მოსახვევი. გარდა ამისა, პიჯაკში შუქდიოდებიცაა ჩამონტაჟებული, რომელიც უფრო მკვეთრად მაშინ ანათებს, როცა ადამიანი დანიშნულების პუნქტს უახლოვდება. კოსტიუმში არსებული ყველა ტექნოლოგია უსადენო, მსუბუქი და შეუმჩნეველია, მთავარი ღირსება კი ისაა, რომ მფლობელს აღარ დასჭირდება ნავიგაციის არანაირი საშუალება — პიჯაკი მას მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებს. ავსტრალიელების ახალი პროდუქტი უკვე მზადაა გამოცდისთვის, კომპანია კი მოხალისეებს აგროვებს ევროპის მთავარი ქალაქებიდან, რომლებიც ახალ პიჯაკს ქუჩაში გამოცდიან.

# წინა ნომერში გასული სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 2 | 3 | 7 | 4 | 1 | 9 | 8 |
| 3 | 4 | 1 | 9 | 8 | 6 | 7 | 5 | 2 |
| 9 | 8 | 7 | 5 | 2 | 1 | 6 | 4 | 3 |
| 7 | 1 | 9 | 2 | 6 | 8 | 5 | 3 | 4 |
| 5 | 6 | 8 | 1 | 4 | 3 | 2 | 7 | 9 |
| 2 | 3 | 4 | 7 | 5 | 9 | 8 | 6 | 1 |
| 1 | 2 | 6 | 4 | 3 | 7 | 9 | 8 | 5 |
| 8 | 9 | 3 | 6 | 1 | 5 | 4 | 2 | 7 |
| 4 | 7 | 5 | 8 | 9 | 2 | 3 | 1 | 6 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 6 | 2 | 9 | 8 | 5 | 4 | 3 |
| 5 | 2 | 8 | 4 | 6 | 3 | 1 | 9 | 7 |
| 9 | 4 | 3 | 1 | 7 | 5 | 2 | 8 | 6 |
| 3 | 9 | 7 | 8 | 5 | 6 | 4 | 2 | 1 |
| 8 | 1 | 5 | 7 | 4 | 2 | 3 | 6 | 9 |
| 4 | 6 | 2 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 5 |
| 7 | 3 | 4 | 9 | 2 | 1 | 6 | 5 | 8 |
| 6 | 8 | 9 | 5 | 3 | 4 | 7 | 1 | 2 |
| 2 | 5 | 1 | 6 | 8 | 7 | 9 | 3 | 4 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 1 | 9 | 7 | 8 | 6 | 3 | 5 | 2 |
| 5 | 3 | 8 | 2 | 4 | 9 | 7 | 6 | 1 |
| 2 | 7 | 6 | 5 | 3 | 1 | 9 | 8 | 4 |
| 8 | 9 | 1 | 4 | 2 | 7 | 6 | 3 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 3 | 1 | 8 | 2 | 4 | 9 |
| 3 | 4 | 2 | 9 | 6 | 5 | 1 | 7 | 8 |
| 1 | 2 | 7 | 8 | 5 | 3 | 4 | 9 | 6 |
| 9 | 8 | 4 | 6 | 7 | 2 | 5 | 1 | 3 |
| 6 | 5 | 3 | 1 | 9 | 4 | 8 | 2 | 7 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 3 | 6 | 1 | 2 | 8 | 5 | 7 |
| 7 | 2 | 8 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 6 |
| 5 | 6 | 1 | 9 | 7 | 8 | 4 | 3 | 2 |
| 6 | 3 | 9 | 8 | 2 | 5 | 7 | 4 | 1 |
| 2 | 1 | 7 | 3 | 6 | 4 | 9 | 8 | 5 |
| 4 | 8 | 5 | 7 | 9 | 1 | 6 | 2 | 3 |
| 3 | 9 | 6 | 2 | 8 | 7 | 5 | 1 | 4 |
| 1 | 7 | 2 | 4 | 5 | 9 | 3 | 6 | 8 |
| 8 | 5 | 4 | 1 | 3 | 6 | 2 | 7 | 9 |

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

125
დაცვის პოლიცია




GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).








